

საორბუღი ჟურნალი

№ 5 ივლისი, 2000

ფასი 2 ლარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საორბუღი



3 აპრილი 2000 
ყველა ანგარიში და მეგობლე

4 ვითა სიზარარი ღამისა
ევროპის ჩემპიონატის ფინალი და...

6 ფინალადა 
...წინასწინალო ამბები სააგენტო „როიტერის“ ფოტოთვალთ

8 ილია ბაბუნაშვილი
დარბი ვაკეროუ, ჩაპოვისნი როვი
ბენილუქსური ამბავი 
ინგლისელ ფანთა უმსგავსობისა

10 ვანტანგ გზიკაზა
19 432 სავარკაელი სავარტოელის ჩაპიონისთვის
როგორ იქცა მუდმივი ექს, „უცოლოთა ორდენი“ ვიცე, ვიცე კი ნაღდ ჩემპიონად

16 ლაზა ჯაფარიძე
თავისთავადი სავარკაელი
საფეხბურთო ტაქტიკის ისტორია *წერილი მესამე*

17 ელგუჯა ბერიშვილი
პარაკანადან პარაკანადე
რეპორტაჟი რიო დე ჟანეიროდან

20 სსვადასსვა

22 მერაბ რატიშვილი
ქართული უჯრადი ეფანის გვიწვი
თურქული „ეფესის“ სორვატი ლიდერი ვლადიმერ სტეფანიაზე

24 ავთანდილ გურასაშვილი
საუკონოვანი გრკოლა დავისი სსსლათისთვის

26 ავთანდილ სვანიძე
ნაკრეული და გედეიარი
ძნელად საცნობი ფრანგი „სხეული“

14-15 გვირდი
ევროპის ჩემპიონი სავარკანაშვილის ნაკრები. დგანან ზინედინ ზიდანი, ლორან ბლანი, პატრიკ ვივირა, მარსელ დესაი, კრისტოფ დიუგარი, ლილიან ტურამო, სხედან ტურეი ანრი, იური ჯორკაევი, დიდე დეშამპო, ფაბიენ ბარტეზი, ბიუსენტი ლი ზარაზუ

გარეკანაზა
I ევროპის თასი სამფერი ფრანგულით
II ფრანგთა ოქროს მეგობლე დავიდ ტრეზუგე
III პიტ სამპრასი
IV იტალიის ნაკრები ევრო 2000-ზე



რედაქტორი ილია ბაბუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურამ ხელაშვილი
ოპერატორი სვამბა დვინაძე
მრჩველთა საბჭო: ვანტანგ ზზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, ზურაბ მეტეველია, ზურაბ ფოცხვერია

რეკლამა შურნალ «სარბილუბი» – 93 16 08



A ჯგუფი

გერმანია XI რუმინეთი
0:1 მოლდოვანი (5), XI შოლი (27)

პორტუგალია 3:2 ინგლისი
0:1 სქოულზი (3), 0:2 მაკანამანი (18), 1:2 ფიგუ (22), 2:2 ჟოაუ პინტუ (37), 3:2 ნუნუ გომეში (59)

რუმინეთი 0:1 პორტუგალია
0:1 კოშტინია (90)

ინგლისი XI გერმანია
1:0 შირერი (53)

პორტუგალია 3:0 გერმანია
1:0, 2:0, 3:0 სერჟიუ კონსეასუ (36, 54, 71)

ინგლისი 2:3 რუმინეთი
0:1 კოვე (23), XI შირერი (43), 2:1 ლუენი (45), 2:2 მუნტანუ (48), 2:3 გაბა (89)

პორტუგალია	3	3	0	0	7:2	9
რუმინეთი	3	1	1	1	4:4	4
ინგლისი	3	1	0	2	5:6	3
გერმანია	3	0	1	2	1:5	1

B ჯგუფი

ბელგია 2:1 შვედეთი
1:0 გოორი (43), 2:0 ე. მენზა (46), 2:1 მიალი (54)

თურქეთი 1:2 იტალია
0:1 კონტე (52), XI ოკანი (61), 1:2 ინძაგი (70)

იტალია 2:0 ბელგია
1:0 ტოტი (6), 2:0 ფიორე (66)

თურქეთი 0:0 შვედეთი

თურქეთი 2:0 ბელგია
1:0, 2:0 ჰაქან შუქუერი (45, 70)

იტალია 2:1 შვედეთი
1:0 დი ბიაჯო (39), XI ლარსონი (77), 2:1 დელ პერიო (88)

იტალია	3	3	0	0	6:2	9
თურქეთი	3	1	1	1	3:2	4
ბელგია	3	1	0	2	2:5	3
შვედეთი	3	0	1	2	2:4	1

C ჯგუფი

ესპანეთი 0:1 ნორვეგია
0:1 ივერსენი (66)

იუგოსლავია 3:3 სლოვენია
0:1 ზაპოვიჩი (23), 0:2 პავლინი (52), 0:3 ზაპოვიჩი (57), 1:3 მილოშევიჩი (67), 2:3 დრულეოვიჩი (70), 3:3 მილოშევიჩი (73)

სლოვენია 1:2 ესპანეთი
0:1 რაული (4), XI ზაპოვიჩი (59), 1:2 ეტებერია (60)

ნორვეგია 0:1 იუგოსლავია
0:1 მილოშევიჩი (8)

სლოვენია 0:0 ნორვეგია

იუგოსლავია 3:4 ესპანეთი
1:0 მილოშევიჩი (31), XI ალფონსო (38), 2:1 გოვედარიცა (51), 2:2 მუნტიანი (52), 3:2 კომლიეოვიჩი (75), 3:3 მენდიეტა (90), 3:4 ალფონსო (90)

ესპანეთი	3	2	0	1	6:5	6
იუგოსლავია	3	1	1	1	7:7	4
ნორვეგია	3	1	1	1	1:1	4
სლოვენია	3	0	2	1	4:5	2

D ჯგუფი

საფრანგეთი 3:0 დანია
1:0 ბლანი (16), 2:0 ანრი (64), 3:0 ვილტორდი (90)

ჰოლანდია 1:0 ჩხეთი
1:0 ფ. დე ბური (89)

ჩხეთი 1:2 საფრანგეთი
0:1 ანრი (7), XI ნუდედი (35), 1:2 ჯორჯაძე (60)

დანია 0:3 ჰოლანდია
0:1 კლუივერტი (57), 0:2 რ. დე ბური (66), 0:3 ზენდენი (77)

დანია 0:2 ჩხეთი
0:1, 0:2 შხიციერი (64, 67)

საფრანგეთი 2:3 ჰოლანდია
1:0 დიუგარი (8), XI კლუივერტი (14), 2:1 ტრეზეგე (31), 2:2 ფ. დე ბური (51), 2:3 ზენდენი (59)

ჰოლანდია	3	3	0	0	7:2	9
საფრანგეთი	3	2	0	1	7:4	6
ჩხეთი	3	1	0	2	3:3	3
დანია	3	0	0	3	0:8	0

ამოთხეფინალი

პორტუგალია 2:0 თურქეთი
1:0, 2:0 ნუნუ გომეში (44, 56)

რუმინეთი 0:2 იტალია
0:1 ტოტი (33), 0:2 ინძაგი (43)

ჰოლანდია 1:1 იუგოსლავია
1:0, 2:0 კლუივერტი (24, 38), 3:0 გოვედარიცა (51, 63), 4:0 კლუივერტი (54), 5:0, 6:0 ოფერმარსი (78, 90), 6:1 მილოშევიჩი (90)

ესპანეთი 1:2 საფრანგეთი
0:1 ზიდანი (32), XI მენდიეტა (38), 1:2 ჯორჯაძე (44)

ნახევარფინალი

საფრანგეთი 2:1 დ. (1:1) პორტუგალია
0:1 ნუნუ გომეში (19), XI ანრი (51), 2:1 ზიდანი (117, 127), ოქროს გოლი

იტალია 0:0 ჰოლანდია
პენალტებით 3:1
1:0 დი ბიაჯო, 1:0 ფ. დე ბური (მეკარე), 2:0 პესტო, 2:0 სტამი (აჯილა), 3:0 ტოტი, 3:1 კლუივერტი, 3:1 მლდინი (მეკარე), 3:1 ბოსველტი (მეკარე)

ფინალი

საფრანგეთი 2:1 იტალია
0:1 დელევეკიო (56), XI ვილტორდი (90), 2:1 ტრეზეგე (103), ოქროს გოლი

საფრანგეთი: ბარტენი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (პირესი 85), ჯორჯაძე (ტრეზეგე 76), ვიერა, დეამბი, ზიდანი, დიუგარი (ვილტორდი 58), ანრი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

იტალია: ტოლო, კანავარო, ნესტა, მალდინი, ოლიანი, პესტო, დი ბიაჯო (ამბროზინი 65), ალბერტინი, ფიორე (დელ პერიო 53), ტოტი, დელევეკიო (მონტელა 85)

მწვრთნელი: დინო ძიუი

გაფრთხილება: ტურამი, კანავარო, დი ბიაჯო, ტოტი

მსაჯე: ანდრეს ფრისკი (შვედეთი)



2000 წლის 2 ივლისი. რობარტაში. "ფიენოროდის" სტადიონი. საფრანგეთის და იტალიის ნახევარი ფინალის წინ

REUTERS

პიტა სიზგარე ღამისა

შინალი: სფრანგეთი — იტალია 2:1



ფრანგთა ამაყი ჯაჭიტანი
დიდი ღამისი

ოქროს გოლი — სფრანგეთი ჩემპიონია, ბრძანა ღამის ტრაჯედია (№20)



მარჯვლი დელევიანი ფრანგთა მარნახს ამსხვრავს. 0:1




ფრანგთა
ბოლი —
ღამისი, მარჯვლი,
მარჯვლი



ზინდინ ზინდინს მხოლოდ ალყით თა მარჯვლი





ფრანკესკო ტობი (№20) და ზინედინ ზიდანი

მოხიბვა ცოლები: მალა ჰირასი, მალა ხარაბა და მალა ლაბაფი




ბრძოლა ფრანკესკო ტობლოს ხარტან



მარკ იულიანო, ფაბიო კანავარო (ნაგვალა) და ლორან ბლანი

პროვის ჩემპიონთა ატაცებალი მფრთხელი როჟა ლაგერი



ზიზუ – ახლანილი ოცნება



ფინალაგა



ესაგაეთი – ნორვეგია 0:1. ესაგური ბუბაროლოდი: რაული (№10), დან ეგანი და ალფოსო



ეს გგვინიერი ჰორბუგალია



ჰორბუგალია – თურკეთი 2:0. ლუიზ ფიგუს (№7) ჰასით ნუნუ გომეზა (№21) გოლი ბიბტანა

თურკეთი – ბალგია 2:0. ორი არიფი: ბალგვილთა მუხარა ფილიზ და ვილფა და არიფი



ჰრო 2000-ის საუბეთასო ფრანზი ბიერი ანრი


გოგარდირები 8-9
ნომრით, 5-5 გოლის
ვებორები ივგოსლავილი
საკო მიღოსავიჩი და
ჰოლანდილი ვებორი
ალუივარბი



REUTERS-ის ფოტოგრაფი



კოლორიბული მსახი
იტალიელი ჰიერლიაჩი
კოლინა



რეზინეთი – ინგლისი 3:2. ინგლისელ
სათულარიგოთა სხაბი. გოლოსინა ნეთი,
რეზინელი გენა ჰენელბს არბყას
აღე, ფრანს! აღე, ა ფინელ!





REUTERS

ლენას, მაგრამ ეს მთავარი არ არის და ვერც იქნება.

მთავარი ბლავილია, ვინება. კათხებისა და სკამების მტვერევა და სხვებისთვის თავისი, უსაფრთხო და გაუგებარი უპირატესობის დამტკიცება.

ხოლო თუ ამ ყველაფერს ჩხუბიც მოყვება, თან მასობრივი, დარბი მაკეროუს, ჯონ ფლინტის, ჯონ სილვერის და ბენ განის ბედნიერებას საზღვარი არა აქვს.

...დილია. საღამოს ინგლისი გერმანიას უნდა ეთამაშოს, ოღონდ შარლერუაში. ბრიუსელში კი იმდენი ინგლისელია, რომ მათთვის, ალბათ, კიდევ ერთი სტადიონია საჭირო. ერთი სიტყვით, დიდი მიხვედრა არ სჭირდება, რომ ეს ხალხი თამაშზე წასვლას არც აპირებს. ეს ბრიუსელის ფრონტია. ისინი ინგლისიდან ბელგიას იმითომ ჩამოვიდნენ, რომ... სხვა ქალაქში შეიყარონ, დათვრენ და...

აი, ქუჩის კუთხეში დაახლოებით 30-50-კაციანი ჯგუფი უკვე ბანკალებს, მაგრამ ხელში ისევ ლუდი უჭირავს. რაღაცას ბილწისტიფვობენ. შორიხლოს მოზანგო ბელგიელი მიცანცარებს. კაცმა რომ თქვას, არც ის უნდა იყოს მთლად ფხიზელი.

თითქოს მას უთხრა ვიღაცამ, რაღაც. ეს მიტრიალდა და საკუთარი სხეულის ერთობ პოპულარული ადგილისკენ მიუთითა.

— მე? შენი... — ინგლისელმა პლასტმასის კათხა ესროლა, მაგრამ ვერ მიაწვდინა. სხვები მოტრიალდნენ. მგონი რაღაც უნდა ატყდეს, მაგრამ მოზანგო ბელგიელთან მყისვე სამოქალაქო ტანსაცმლიანი ვითომ გამვლელი მიდის და იქაურობას არიდებს.

...იგივე დროა. დასაწყისში რომ კაფე ვახსენებ, ღია, ფართო ტროტუარზე გამოტანილი მაგიდებით და სკამებით, იქ დაახლოებით 100-150 კაცი ზის. უმეტესობა ინგლისელია. უკებ სამარისებური სიჩუმე ვარდება. თურმე ხელკეციანი პოლიციელთა ათკაციანი რაზმი გამოჩნდა. პოლიციელები წამით ყოფნებიან, მაგიდებს ათვალიერებენ, თითქოს ვიღაცას ეძებენ, შემდეგ კი მიზანმიმართულად მიდიან და რომელიღაც მაგიდასთან მსხდომთაგან მაინცდამაინც ერთს იჭერენ. პირველი მოძრაობით ის ქვაფენილზეა გაშოტილი, მეორე მოძრაობით კი ხელბორკილი ხელგებზეა. რამდენიმე წამიც და იგივე ბედი კიდევ ერთ ინგლისელს ეწია.

მოშკალით და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ორი „ჩაუშვებს“. ისევ ჟარგონით ვიტ-

დარბი მაკეროუ, ჩამოვიდსი როში!

ილია ბაბუნაშვილი ბრიუსელი-თბილისი

ოსინი რომ სხედან, ისე არავინ ზის. მათ რომ გამოხედვა აქვთ, ისე არავინ იყურება. ისინი რომ სვამენ, იმდენს არავინ სვამს. ისინი რომ ბლავიან, ისე არავინ ბლავის.

ვინ არის ეს ხალხი? დღეს, მათი უშუალოდ ნახვის მერე, მე შემძლია ისინი გაგაცნოთ, ასე განსაჯეთ, სახელებითაც კი. ბრიუსელის გრანდ პლასის გვერდით, კაფეში ჯდომისას უცბად გამინათდა გონება. ვიცანი, ჩემს გარშემო ისხდნენ დარბი მაკეროუ, ჯონ ფლინტი, ჯონ სილვერი, ბენ განი და „ადმირალ ბემბოლუს“ დანარჩენი საზოგადოება.

არაფერი შეცვლილა მას მერე. მეოცე და ოცდამეორე საუკუნეების გასაყარზე ქართული ფურნალისტი ვუცქერდი ზუსტად იმ ადამიანებს, რომელთაც მე-19 საუკუნეში მცხოვრები მათი თანამემამულე რობერტ ლუის სტივენსონის მამა-პაპა უყურებდა, თავად მწერალი კი რომანტიკულად აღწერდა.

დარბი მაკეროუ, ჯონ ფლინტი, ჯონ სილვერი, ბენ განი და ამაღა „ადმირალ ბემბოლუსი“ ცოტას დაისვენებდა, შემდეგ კი რომელიმე გემზე ეკიპაჟად ჩაეწერებოდა, ზღვაში შორს გასულ ხომალდს ხელში ჩაიგდებდა და მეკობრეობდა, მარცვაკვა, კლავდა, თვრებოდა.

ზოგი მათგანი ნადარცვი ფულით სადმე დასახლებასა და ტკბილ სიბერეზე ოცნებობდა, მაგრამ უმრავლესობა საერთოდ არაფერს ფიქრობდა, რადგან ფიქრი არც ჩვევად ჰქონდა და ამისთვის არც ეცალა. ისინი მარცვაკვდნენ, თვრებოდნენ, კლავდნენ, ბლაოდნენ და ისევ თვრებოდნენ.

შემდეგ ბევრს ზღვა წაიყვანდა სამუდამოდ, ბევრი დანაობისას დატოვებდა მთვრალ სიცოცხლეს, არცთუ ცოტას რომი თუ სხვა სპირტიანი სასმელი გადაუკვარებდა ღვიძლს, ხოლო რაღაც ნაწილს ხმელე-

თზე სახრჩობელა ელოდა.

მაგრამ ისინი თვრებოდნენ და ბლაოდნენ. სტივენსონი მოგვითხრობს, რომ მათი ერთ-ერთი საყვარელი სიმღერა მკვდრის კიღობანს მიყრდნობდა ცამეტ კაცზე, ერთი ბოთლი რომით ვაღვეშვასა და საიქიოს ეშმაკთან ერთად წასვლაზე იყო.

არაფერი შეცვლილა მას მერე სიმღერის ტექსტის და რაღაც წვრილმანების გარდა. დარბი მაკეროუს, ჯონ ფლინტს, ჯონ სილვერს და ბენ განს დღეს ინგლისელი ფანები ჰქვიათ, გრანდ პლასზე, მის ახლომხლო კაფეებში, პატარა ქალაქ შარლერუას ცენტრში და სხვა ასეთ ადგილებში დამსხდარან და დილიდან სვამენ.

ღვთის გულისთვის, ნუ იკითხავთ გულუბრყვილოდ. ამდენი სმის შემდეგ საღამოს ფეხბურთი როგორ უნდა ნახონო. ვინ გითხრათ, რომ ისინი ფეხბურთის ნახვას აპირებენ? დაიხ, თუ შეძლეს, სადმე სტადიონის მიდამოებში ან ტელევიზორიან კაფეში, ბარში თუ მათეებურად პაბში შეჯგუფდებიან, რათა აზრგამოცლილი მზერა შიგადაშოგ მაინც მიაპყრონ ბურთიან მო-

ოსინი სვამდნენ და ყველაფერს ამბავრავდნენ



REUTERS



REUTERS

მეორე მოძრაობით ბორჯომი ხალხზე

ფანი, რომელიც არ ჩხაბოს

ყვი: „ნასედეები ჩაუშვებდნენ.“
...მეორე დღეა. ინგლისმა წინა სადამოს გერმანიას მოუგო (1:0). ნამთვრალევი და ნაჩხუბარი ფანები ისვენებენ. მათ ნაკრების მისურები აღარ აცვიათ. მოშვებული ჩამომსხდარან სადღაც. ერთ-ერთ ღია რესტორანთან სამმა პოლიციელმა ჩაიარა. ერთი ქალაი.

— ჰეი, მოდიო, დამიჭირეთ. მოდიო, საქმე გავიჩინოთ — უყვირის მავანი დარბი მაკროუ, თან ისე, რომ ძალიან უნდა მის შეძახილს გაგრძელება მოყვეს.

კი მაგრამ, მისტერ მაკროუ, რატომ?
იმ დღეებში რომელიღაც ინგლისური გავითი გადავმალე და წავაწყდი სტატისას სათაურით „საფეხბურთო სულიგნის სეგვარულის ჯოჯონით“. ეს გახლდათ თემის თავისებური გამომხაურება, ინტერვიუ მავანი დარბი მაკროუს გაყრილ ცოლითან. წერილი ასეთი იყო, როგორსაც ველოდი: ქალი ყვებოდა, რომ მის ოჯახურ ბედნიერებას ხელი მეუღლის ხულიგნობანიამ შეუშალა და ბოლოს იძულებული შეიქნა გაცილებოდა. კეთილ, მზრუნველ, რომელიღაც ქარხნის მუშა ქმარს ფეხბურთის დღეებში ციება თუ ცხელება წამოივლიდა და გარბოდა, რათა ეჩხუბა და დაეღუწა თამაშის შემდეგ ნასვამი და დასისხლიანებული ჯერ დედამისის სახლში მივიდოდა, მოწესრიგებოდა და ცოლითან დამეღა ბრუნდებოდა. ცხადია, ცუდი სიმთვრალე ჰქონდა. ეს კაცი თანდათან თითითი საჩვენებელ ხულიგნად იქცა და მის შეშლილ გამომეტყველებას ხშირად აღბეჭდავდნენ ტელე თუ ფოტოკამერები. ბოლოს სასამართლომ ბრიტანეთის ტერიტორიაზე სტადიონებზე სიარული აუკრძალა და, მანაც პაბებში გადაინაცვლა. იქ ბლაოდა და ლეწავდა.

ამ წერილში ყველაზე მეტად ტანჯული მეუღლის ერთმა წინადადება მიიპყრო ჩემი ყურადღება. წინადადება ზუსტად დამამახსოვრდა:

„ალბათ ის თავს ერთგვარ არარობად გრძნობდა და საფეხბურთო სულიგნობით ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ამქვეყნად ვიღაც იყო. ამას პირველ რიგში საკუთარ თავს უმტკიცებდა.“

საინტერესო გადაცემა ჰქონდა BBC-ს. ამ ტელეკომპანიამ ჟურნალისტთა ერთ ჯგუფს ფანებთან ერთად პირველივე დღიდან მოგზაურობა დაავალა და შედეგიც საინტერესო მიიღო.

კადრი დაახლოებით ათჯერ ჩერდება, ეკრანზე ჯგუფში მდგომ ერთ-ერთ მოღრიალეს გამოარჩევენ და ამბობენ სახელსა და გვარს — მას სასამართლომ ბრიტანე-

თში ფეხბურთზე დასწრება აუკრძალა. მაგრამ, ვვინებ, მათგან ფეხბურთზე სიარული ყველას აკრძალული რომ ჰქონდეს, უკეთესი იქნება. აი, ისინი ბრიუსელის ერთ ბარს იპყრობენ: შიგ მგონი პერსონალიც აღარაა. მხოლოდ აგრესიული ინგლისელები. გარედან პოლიცია შემოეჯარა. იქიდან ღრიალის და ლეწვის ხმა ისმის. შემდეგ, კარს ერთი პოლიციელი უახლოვდება და გაჭვილი ბარში პატარა ბალონ CS-ს ადებს. ხუთ წუთში ბადეს ამოყოლილი თევზებივით გასაცოდავებული დარბი მაკროუ, ჯონ ფლინტი, ჯონ სილვერი, ბენ განი და სხვები ტროტუარზე ეცემიან და მათ ხელბორკილებს ადებენ. ვინც კართან ახლოს იყო, კიდევ გაუმართლა, მალე გამოვიდა, სიღრმეში შევარდნილი კი გული ერევათ. დიახ, დგას ერთბაშად რამდენიმე ათეული კაცი და

არწყვეს.
— ჰოლანდ! ჩეხი! — გაყვირიან ხელი-ხელგადახვეული ჰოლანდიელები და ჩეხები.


— კამპონეს, კამპონეს — მღერიან რიგრიგობით წრეში ჩამდგარი ბელგიელები და შვედები.
ესპანელები და იუგოსლავიელები ჯგუფურ ფოტოს იღებენ.

— ჩვენ ინგლისელები ვართ და ყველას... — ღრიალებენ აღრიანად გამოძივრალი დარბი მაკროუ, ჯონ ფლინტი, ჯონ სილვერი, ბენ განი და ანდიდან ჭოგრიტით გაჭყურებენ ჰორიზონტს.

— ჰეი, კაპიტანო, ათიოდ მიღში სავაჭრო გემი გამოჩნდა...

— აღმართეთ ყველა აფრა. კურსი დასავლეთისკენ. სრული სვლით წინ! დავეწიოთ, დავარბიოთ!

ინგლისელთა გასაკრილავლად მარლარაუმი ცულის ჯავლი გამოიყენა



REUTERS



22 გოლით ჩემპიონატის ბოგბარდირი ბოკაეროალი ურაგ იონანიძე და ვიბალი თანგიზ ჯობიაშვილი

19 432 საბარკელი ჩემპიონისთვის

ჰასტანა გზიკაძე

ჰალაქის სტატისტიკის სამართველოს რომ ჰკითხოთ, მისის ქუთაისში არცერთი ახალშობილისთვის ოქრო არ დაურქმევიათო, ვიკასუხებენ. მაგრამ სამშობიარო სახლებსა თუ მამის ბიუროში დაშვებული შეცდომა მაინც გამოსწორდა. ქუთაისში ერთი ოქრო წლეულს მართლაც დაიბადა. საქართველოს ფეხბურთის


ფედერაციამ მისის ბოლოს გასცა დაბადების მოწმობა ოქრო ქუთათელაძეზე. ცხრათვიანი რთული ფეხმობის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატმა ახალი პირში შვა — ქვეყნის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“.

როგორია ახალი ჩემპიონი, როგორ მივიდა „ტორპედო“ ამ მწვერვალამდე?

ქუთაისის «ტორაედო» 1999-2000. ყველა ჩემპიონი

№	სახელი გვარი	დაიბადა	სმ	კგ	თ	გ	თ	გ	დან	ადრინდელი კლუბები
1	გრიგოლ ჭანტურია	25.09.73	185	81	164	0	19	0	1998	დილა, სამტრედია, მეგარდენი, ლოკომოტივი (ს-პ, რუსეთი)
12	გიორგი სომშიშვილი	27.11.80	181	67	15	0	2	0	1999	დურუჯი, ალაზანი, ყვარელი
16	ზვიად სტურუა	25.04.78	191	84	38	0	2	0	1999	სამტრედია, ანჯელი, სამგურალი ⇒ სამგურალი
1	ირაკლი ზოიძე	21.03.69	181	78	180	0	6	0	2000	მერცხალი, ქუთაისი, დინამო, მიაფა (ისრაელი) ⇒ კაუნასი (ლიტვა)
3	მიხეილ მახვილაძე	22.07.78	182	74	52	2	15	0	1999	რწმენა, ტორპედო 2, სამგურალი
4	ჯაბა თავბერიძე	08.08.81	181	70	3	0	3	0	1999	დინამო 3, დინამო 2
5	ირაკლი მალაქაძე	28.02.73	172	67	188	2	19	0	1997	ქუთაისი 2, ფრესკა, ქუთაისი, ტორპედო, სამგურალი, მარგეეთი
6	ალექსანდრე შეყრილაძე	30.08.70	172	67	161	1	25	0	1997	მაშლი, ზანა, ანგუმტი (რუსეთი)
18	ვახტანგ თურმანიძე	16.01.73	176	73	152	2	22	0	1993	ჩიხურა
19	ალექსანდრე ამისულაშვილი	20.08.82	185	78	7	0	7	0	1999	კახეთი
24	ვახტანგ ზედაგიანი	04.04.72	192	84	88	2	25	3	1997	კარანისი, იმედი (თბ), ანცი, მეგარდენი, ვერესი (უკრაინა), სამტრედია
7	კახა კვეციანი	03.06.70	176	70	197	24	26	2	1993	ფიზკულტურის ინსტიტუტი, სამგურალი
8	გიორგი გოგიაშვილი	07.01.71	176	70	182	47	24	2	1999	სიხარული 90, ცხუმი, სამტრედია, ფემუჟინა (რუსეთი)
11	ზაზა ვაჩიბერაძე	25.10.73	174	67	155	25	13	1	1993	ქუთაისი 2, ფრესკა, საირმე, ტორპედო 2
14	ვასილ მისურაძე	10.01.71	188	80	74	3	4	0	1999	მართე, კახეთი, ანცი, ლოკომოტივი, ვიტ ჯორჯია ⇒ სიონი
17	კახაბერ ჩხეტიანი	24.02.78	172	67	115	7	26	0	1995	ტორპედო 2, რწმენა, სამგურალი
21	ბადრი ახვლედიანი	19.10.70	174	72	250	9	22	2	1999	ამირანი, მერცხალი, ოდიში, ზუგდიდი, კოლხეთი
22	მალხაზ ასათიანი	04.08.81	180	68	13	3	13	3	1999	ტორპედო 2
2	ზურაბ იოხანიძე	02.12.71	183	76	228	97	27	25	1997	სამგურალი, ტორპედო, სამტრედია, ფემუჟინა, ნოვოგოროდი (რუსეთი)
9	დავით ჯანაშია	07.08.72	174	65	248	100	27	12	1997	სამტრედია, ფემუჟინა, ჩერნომორეცი (რუსეთი)
10	გია მეგრელიძე	21.07.78	179	73	136	47	25	12	1995	სამგურალი, მერცხალი
14	ზაზა მეღვინე	18.05.81	175	62	2	0	2	0	2000	ალაზანი, კახეთი ⇒ ალანია (რუსეთი)
20	მიხეილ ზობიანიძე	23.11.81	181	71	15	5	15	5	1999	ერზურუმსპორტი 2 (თურქეთი), დინამო 2, კახეთი
23	გია იმედაძე	02.10.80	184	75	28	6	15	3	1999	ტორპედო 2


შუასეზონში ⇒ გასვლასაკრები; ← შემტევისაკრები; ნონის შემდეგ საერთო და წლევედელი თამაშების და გოლების რაოდენობა; დან - კლუბში მისვლის თარიღი; სახელმწიფო კლუბები: ქუთაისი 2, ფრესკა, რწმენა, ტორპედო 2 - ინტერ; სამტრედია - იბერია; ოდიში - ზუგდიდი; სიხარული 90 - გურა, ზანა - ანჯელი, დურუჯი - ყვარელი



ფინანსებში უპრობლემობამ, სტაბილურმა შემადგენლობამ და საქართველოს ჩემპიონობაში ყომაოქრილმა მწვრთნელმა დავით ყიფიანმა თავისი გაიტანა, ეროვნული ჩემპიონატს ახალი გამარჯვებული მოუვლინა. „ტორპედოს“ პირველობაში უმნიშვნელოვანესი როლი ჩემპიონატის ბომბარდირ ზურაბ იონანიძის 25 გოლმა ითამაშა.

მისია: შეწყვიტა „დინამოს“ ათწლიანი მეფობა, რითაც ჩემპიონის უძლეველობის ასე დამორგუნავი მითი დაამსხვრია.


ტორაედო



სერგო კოტრიკაძის დამოძღვრული ახალგაზრდა ვიტლები უშელავაითობით გამოირჩნენ. მეორე ეტაპზე „ვიტ ჯორჯია“ ექვსი ქულა აართვა „ბათუმს“, ოთხ-ოთხი „ტორპედოს“ და „დინამოს“, ორიც „კოლხეთს“. ვიცე-ჩემპიონმა გაზაფხულზე თვით ჩემპიონზე ქულით მეტი დააგროვა.

მისია: დაამტკიცა, რომ საქართველოს ჩემპიონატში გამოცდილი მწვრთნელზე მეტად ნულგამართული პატრონი ფასობს.


ვიტ ჯორჯია



მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებლის, გია გვეუნაძის ნარუმტებულ სტარტს „თბილისი-დან“ ნანევი ოთარ კორღალიძე ცხვრის დაკელით შეებრძოლა. იგივე მეთოდმა მეორე ეტაპის პერმანენტული ფრეებისას არ გაჭრა და გადამდგარ კორღალიძეს ისევ დროებითი და უფრო გამოცდილი ჯემალ ჩიმაკაძე შეენაცვლა.

მისია: უწყვეტად ათგზის ჩემპიონმა უფულოდ და ნამყვანი მოთამაშეების გარეშე დარჩენით ჰარაკირი გაიკეთა.

დინამო



იტალიელი მწვრთნელის ჯანი კარნევალის გუნდს პროგრესი თამაშ-თამაშ ემწეოდა და ერთხანს ჩემპიონობის რეალური კანდიდატიც იყო, მაგრამ სულ რამდენიმე დღით უცხოელის სამშობლოში ნასვლამ სანერონელი პროცესი საბედისწეროდ არია და ათად თუ კარგად ეს ევროპულ ყაიდაზე გადანჯობილი გუნდი ევროპის მიზმ დატოვა.

მისია: უცხოელი მწვრთნელის ინსტიტუტის ჩვენში დაქინებულო რეპუტაციის გადარჩენას შეეცადა, რაც ნაწილობრივ შეძლო.

ლოკომო



ქუთაისის ტორპედო

დაარსდა: 1949 წელს
 1990-92 წლებში
 ეწოდებოდა „ქუთაისი“
 საქართველოს ჩემპიონი (1): 2000
 საქართველოს თასის
 მფლობელი (1): 1999
 პრეზიდენტი: მიხეილ ქორქია
 მწვრთნელი: დავით ყიფიანი
 ყველაზე მეტი მატჩი უმაღლეს
 ლიგაში: დავით ჯანაშია (182)
 ყველაზე მეტი გოლი უმაღლეს
 ლიგაში: დავით ჯანაშია (79)
 სტადიონი: ტორპედო (19 432)

...ყველაფერი ოთხი წლის წინ დაიწყო. თითქმის 4 წელიწადს უპატრონო, ბოლოხანს კი სულ მთლად ქალაქის ბიუჯეტზე დაკიდებულ გუნდს, როგორც იქნა პატრონი გამოუჩნდა.

„ტორპედო“ გათამაშების ბოლო, მეთექვსმეტე საფეხურზე იყო, გუნდი ახალმა მენეჯერს, სიგმა ბანკის მმართველმა ბესიკ ჯიქიამ რომ ჩაიბარა.

მეორე წრეში ისე გაძლიერდა ქუთაისური კლუბი, რომელსაც იმხანად სოსო ფრუიძე წვრთნიდა, ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაამთავრა.

მომდევნო წელს კი „ტორპედო“ ერთი საფეხურით ამაღლდა, რამაც ინტერტოტოს თასის საგუნდო მოუპოვა. ევროდებიუტი სომხურ ერებუთან 6:0, 1:1 გამარჯვებით დაიწყო და ბელგიურ „ლომელთან“ 1:0, 1:2 მარცხით დასრულდა.

„ლომელთან“ დრამატული მატჩის მერე „ტორპედოს“ პრეზიდენტის და მწვრთნელის მიმართ პირველმა საყვედურმაც გაიჟღერა. ჩემპიონატის სტარტზე „ბათუმთან“ შინ მსაჯის შეცდომის ხარჯზე ნათამაშევმა 3:3-მა კი სოსო ფრუიძის ქუთაისური კარიერა შეიწირა.

ფრუიძე დროებით, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა სეზონის ბოლომდე, თანაშემწე ჯემალ ხერხაძემ შეცვალა. ხერხაძემ გუნდს ვიცე-ჩემპიონობა მოაპოვებინა. თასი კი პენალტებში მოუგო ფინალამდე გაიზარდა და რადიკალის ნამზადებ „სამგურალს“.

მაგრამ ეს უკვე ახალი პატრონის ხელში მოხდა. ჩემპიონატის პირველი წრის შუაწელში ბესიკ ჯიქიამ „ტორპედოს“ მეთვრინეობა ნავთობკომპანია „არგომარ ოილს“ გადააბარა, რომელმაც თავის მხრივ კლუბის პრეზიდენტად კალათბურთის ვარსკვლავი, ოლიმპიური ჩემპიონი მიხეილ ქორქია დანიშნა.

ახალმა პატრონმა ახალ მიზნად ჩემპიონობა დასახა და მწვრთნელიც გამოცვალა. ქორქიას კლუბის სხვა ხელმძღვანელთა დარწმუნება დასჭირდა, რომ მათ გუნდს ჩემპიონობამდე სწორედ დავით ყიფიანი მიიყვანდა. ყიფიანმაც ქორქიას ნდობა გაუძარტლა, „ტორპედოს“ ჩემპიონობა მოაპოვებინა, თუმცა თასი ვერ შეუნარჩუნა. ქუთაისელებმა წლებულსაც პენალტების სერიამდე მიიყვანეს საქმე. იქ კი რევანშის მოპოვების თბილისის „ლოკომოტივმა“ იმარჯვა ორი პენალტის ამღები მეკარის, გიორგი ლომიას წყალობით.

მანამდე კი, გაზაფხულამდე, ყიფიანის „ტორპედომ“ სუპერთასიც წააგო „დინამოსთან“, მაგრამ სამაგიერო ჩემპიონატში და თასის ნახევარფინალში ჯობნით (ისე, რომ ოთხი შეხვედრიდან არცერთი მოუგია, ყველა ფრედ ეთამაშა) გადაუხადა. ყიფიანი ქუთაისში ახალი ტაქტიკური იდეებით არ ჩასულა. პირიქით, გუნდის ინტერესებს დაკვირვებით ფეხბურთის მიმდევრობა შესწირა. არც ბევრი ახალი ფეხბურთელით გაუძლიერებია „ტორპედო“. ფაქტობრივად, ისევე მოიქცა, როგორც ფრუიძის შემცვლელი ხერხაძე — ბევრი არაფერი შეუცვლია.

ჩემპიონატის ბოლოსთვის ყიფიანმა მაინც სცადა გუნდის გაახალგაზრდავების დაწყება, რაც ლამის ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა, საბოლოოდ კი წარმატებას მაინც ძველი გვარდიის ხარჯზე მიაღწია.

25 ველით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ზურაბ იონანიძე, 12-12 გოლის გამტანი თავდამსხმელები დავით ჯანაშია, და გიორგი მეგრელაძე, ნახევარდაცვაში გიორგი გოგიანი და კახა ჩხეტიანი, დაცვაში ვახტანგ ზვადაგიანი და მისი სეზონის თურმანიძე. აი, „ტორპედოს“ ძირითადი ხერხემალი, გუნდის ბირთვი, რომელსაც დროდადრო კარგად ერწყმოდნენ დებიუტანტები მალხაზ ასათიანი და მიხეილ ბობოხიძე.

ყველაზე იდი, რაც ყიფიანმა „ტორპედოს“ შემატა, რწმენა და თადაჯერება იყო და ეს „სარბიელისთვის“ მიხეილ ქორქიას ნათქვამიდანაც ჩანს: „იყო მომენტები, როცა ჩვენს გამარჯვებაში ეჭვი მეპარებოდა, მაგრამ ყიფიანის შემხედვარეს, მისი სიმშ-

ვიდე გადმომედებოდა-ხოლმე“.

კლუბის თავაკაცობამ გუნდის გარდა სტადიონის კეთილმოწყობაზეც იზრუნა. „ტორპედოს“ სტადიონი, რომელსაც 19 432 ინდივიდუალური სავარძელი აქვს, ახლა ქვეყანაში საუკეთესოა. საშემოდგომოდ შეკეთდება გუნდის საწვრთნელი ბაზაც, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში „ტორპედო“ ევროპულ სტუმრებსაც დაუთმობს.

ჩემპიონთა ლიგა. აი, ქუთაისელთა ოცნებების ახალი სიმაღლე. „ტორპედოს“ მეტრექე ძლიერი ერთ — ჩემპიონთა თასის მფლობელი, იუგოსლავიური „ცრვენა ზევზა“ ალბათ იოლად დაძლევეს ფარერული „კლასკვიკარის“ ბარიერს და „ტორპედოს“ 26 ივლისს ბელგრადში დაუხვდება, 2 აგვისტოს კი ქუთაისში ეწყვევა.

ქუთაისელთა მთელი წლის ნაშრომი სწორად „ცრვენასთან“ გამოიხატება. თუ დავით ყიფიანს და სხვა ტორპედოელებს არაფერი დაუკლიათ, ეგებ, იუგოსლავიელებიც უკან მოიტოვონ.

**ტორპედოელი თავდასხმელი
 ღვათა ჯანაშია და იბერიელი მცველი გულვა ბინაძე**



მამუკა დარჩია

იბერია

პირველ ეტაპზე „ბ“ ზონაში ოდენ „ტორპედოს“ ჩამორჩენილმა ვიკ ტყებუჩავას შეგირდებმა ვაზაფხულზე იმდენი ქულა დაკარგეს, ასე მოკლე დროში წლებოდა, რაც არ დაუკარგავთ. კოლხთა გამოუზიზღებ „მათუთთან“ შინ მოგვებით დაიწყო, რასაც „ტორპედოს“, „ვიტ ჯორჯიას“ დამარცხებამ და თბილისში „დინამოსთან“ დაზავებამ მოჰყვა.

მისია: ბედთან შეურიგებელმა მეორე წრის ბოლოს რამდენიმე სანახაობრივი მატჩით გაამდიდრა ჩემპიონატი.

იბერია

სოსო ფრუიძის განვრთნილი გუნდი საზამთროდვე გულდამწვდებულთა „ა“ ზონაში გაჭირვებით მოხვდა, სადაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა კოლხთა სავრობო ამბიციების მოთოკვასა და „დინამოს“ დამუხრუჭებაში. სეზონის ბოლოს ტყეზი ვიგაძეებით გაძლიერებული ორივე ეტაპზე მხოლოდ 15 გოლს დასჯერდა.

მისია: „დინამოს“ ფრედ ეთამაშა და „ტორპედოს“ გაჩემპიონებაში შეეშველა.

ტორპედო

სპარტაკ არჩვადის გუნდმა პირველ ეტაპზე ბევრისთვის შესაშური თამაში აჩვენა, მაგრამ სავაზაფხულოდ ძირითადის ოთხმოთამაშევაში კლებულმა ჩემპიონატი უსახელოდ, მაგრამ გულარხინად დაასრულა. დათუაძე „დინამომ“, დავით გოდერძიშვილი „ლოკომოტივმა“, შაკიაშვილი და სოლოლაშვილი კი ტრავმებმა ნაშკვარა.

მისია: ვაზაფხულზე „კოლხთის“ პირველი მარცხი ავგებ და ფედერაციის ვინებისთვის დასჯელი დავითნიძე 2 მატჩით გამოაკლო.

იბერია

სამი მწვრთნელი, მერაბ ხუციშვილი, ივანე თაყაიძე და მერაბ კოჭლაშვილი გამოიკვალა. როგორც ყოველთვის, უზიფათო ზონაში მოხვედრით თავი აღრევე დაიარხინა და მერე ქულები დაუნანებლად ფანტა. მეორე ეტაპზე მხოლოდ 6 ქულა, ისიც აუტსაიდერებთან, შეიმატა, ფრე ერთხელაც არ უთამაშა.

მისია: საგაიოდ თავი გადაიჩინა, რჩეულთა რეგულიდან თსუ და „გორდა“ დაიფრინა.



თბილისის ვიტ ჯორჯია
 დაარსდა: 1998 წელს
 საქართველოს
 ვიცეჩემპიონი (1): 2000
 პრეზიდენტი: გურამ რუხაძე
 მწვრთნელი: სერგო კოტრიკაძე
 ყველაზე მეტი მატჩი უმაღლეს
 ლიგაში: ვლადიმერ გოჩაშვილი (70)
 ყველაზე მეტი გოლი უმაღლეს
 ლიგაში: გიორგი ქორიძე (20)
 სტადიონი: არმაზი (მცხეთა) (3000)
 fcwit@geo.net.ge
 http://www.wit-georgia.com



ვიტალთა ბოგბარდირი გიორგი ქორიძე (ბურთით) და დინამოელი პალტარ გურა

საქართველოს
ფეხბურთის
ფედერაცია

ვიტ ჯორჯიას რომ უძღვის წინ ინგლისური აბრევიატურაა და ასე იშიფრება „ვორლდ ინოვეიშნ & ტექნოლოჯი“. სხვაგვარად ვიტ ჯორჯიას, გონებამახვილობას ნიშნავს. მართლაც დიდი ჯგუფი და მოხერხება სჭირდება იმას, რაც მოკლე დროში შეძლო „ვიტ ჯორჯიამ“. ახალგაზრდულმა, დაუოჯახებელ (მხოლოდ სათადარიგო მეკარე დავით მამარდაშვილია შეუღლებული) ყმაწვილთა გუნდმა.


ვიტელთა ვიცე-ჩემპიონობაში ლომის წილი კლუბის პრეზიდენტს, 39 წლის დოქტორ გურამ რუხაძეს უდევს, რომელმაც ქართულ ფეხბურთში ამერიკული კაპიტალი მიიხიდა და რაც უკვე გაკეთებულია, ეს რაა, ბევრად მეტს აპირებს — უახლოეს მომავალში „ვიტ ჯორჯიას“ ახალი, საკუთარი სტადიონი ექნება მცხეთაში.

ჯერჯერობით კი გაკეთებული მხოლოდ ისაა, რომ „ვიტ ჯორჯიას“ ქართულ სინამდვილეში უცნაურად შეუბოვარი გუნდია, რაც ყველა მეტოქესთან პრიოდის დადასტურება („კოლხეთის“ გარდა) და სიურპრიზებაც ხომ შეუპოვრობით მოდის.

მეტიც შეიძლება ითქვას, ვიტელები ამ წარმატებამდე მხოლოდ ბევრისთვის შესაშურმა პირობებმა როდი მიიყვანა. პირობებიც ყოფილა, არაერთი გვინახავს, მაგრამ ასეთი მოსაწონი სიტამამე ბევრისთვის არ შეგვიძინებია. ზოგჯერ მეტოქის სიძლიერის ღრმა ცოდნა არცაა საჭირო (ფეხბურთელებისთვის, თორემ მწვრთნელისთვის, აბა, რა სათქმელია). სჯობს მოწინააღმდეგის სიძლიერეზე ბევრი არ იფიქრო, რათა შიმში არ აგიტანოს და


ჯერ კიდევ მტრამდე დაგვანოს. მოდო, გავისუნთო, რომ „დინამოსთან“ და „ტორპედოსთან“ წყვილ-წყვილად ნათამაშევი ფრის გარდა, „ვიტ ჯორჯიამ“ თავი ბათუმში მოგებითაც დაგვამახსოვრა. ჯანი კარნევალის გუნდი კი ვიცე-ჩემპიონის გარდა წლეულს არც ერთ სტუმარს დაუმარცხებია. თორიდ სიტყვა მწვრთნელეზე: წარსულში თბილისის „დინამოს“ და ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე სერგო კოტრიკაძე დიდი

მწვანე ჯვარი




საფეხბურთო კორუპციით თავგაბურვებულმა პრეზიდენტმა ნუგზარ ნავაძემ და ზამთრამდე მიატოვა. მეორე ნრიდან ნავაძე დავით ფურცელაძემ შეცვალა, მთავარი მწვრთნელი თემურ ჩხაიძე კი სერგო გაბეღიაძემ, რომელმაც უმტკივნეულოდ გააახალგაზრდა შემაღვენილობა და „ბ“ ზონის ჩემპიონობაც არაღის დაუთმო.

მისია: ბევრად უზრუნველყოფილი და უფრო სახელიანი მწვრთნელის „ლოკომოტივის“ პირველობა არ დაანება.




წინა ჩემპიონატში თემურ მახარაძის გუნდის საინტერესო თამაში მურთაზ ხორცილაძემ გაუმართლებელი ტრანსფერებით გააღარბა. რკინიგზელთა თავკაცებმა ჯერ ისევ მახარაძეს, საზამთროდ კი სულაც რევაზ ძოძუაშვილს უხმეს. ჩემპიონატში ველარ იხიერა, მაგრამ გაძლიერებულმა თასი კი ჩამოართვა „ტორპედოს“.

მისია: „დინამოსთან“ ცუდად ვარიგებული და 1:2 ნაგებული მატჩით ჩემპიონატის უდიდესი სკანდალი შვა.



პირველ ეტაპზე ჯერ კონსტანტინე დოლიძის, მერე კი ვლადიმერ ხაჩიძის განართნილი სტუდენტები თანამომე ვიტელებს ვერაფრით დაეხმარნენ — ორივე ეტაპზე სხვადასხვა ზონაში მოხდნენ. ამის შანსი მათ სავასოდ მიეცათ, რაკი თენგიზ კაცია და ვახტანგ კობალეიშვილის ხელში კარგად ითამაშეს.

მისია: „ვიტ ჯორჯიისთვის“ აშკარად ნიჭიერი და გონიერი გამთამაშებელი გიორგი დეკანოზიძე აღმოაჩინა.



იასონ ალადაშვილის გუნდი სავასო თორმეტულში რომ მოხვდა, მოიერიშე მძების, ვარლამ და ვია კოლასონიების და მკველ სახელი ბურნაძის დამსახურება. მიუღი სეზონი პრაქტიკულად უხელდასოდ მოთამაშე რუსთაველები გაეარდნას სწორედ ამ ძველი სამეულის ცოდნა-გამოცდილების ხარჯზე გადარჩნენ.

მისია: ვარლამ კოლასონიას ბომბარდირთა შორის მეორეობაში შეეძველა, თავი კი მისი გოლებით გადაარჩინა.

...ბრინჯაოდ ბადაიძევი



თბილისის დინამო

დაარსდა: 1925 წელს
1990-92 წლებში
ენოდებოდა „იბერია“
საქართველოს ჩემპიონი (10): 1990,
91, 91-92, 93, 94, 95, 96, 97, 98, 99
საქართველოს თასის მფლობელი (6):
1992, 93, 94, 95, 96, 97
სსრკ-ს ჩემპიონი (2): 1964, 78
სსრკ-ს თასის მფლობელი (2): 1976, 79
პრეზიდენტი: მერაბ რატიანი
მწვრთნელი: ჯემალ ჩიმაკაძე
ყველაზე მეტი გოლი უმაღლეს
ლიგაში: გივი დიდავა (154)
ყველაზე მეტი გოლი უმაღლეს
ლიგაში: ალექსანდრე იაშვილი (84)
სტადიონი: ეროვნული (75 000)
kasadinamo@t-online.de
http://www.dinamotbilisi.com

სამ წელიწადს ოქროს დღა ელვა „დინამოს“ და ვერცხლის ფერი ცას მერეა შეეპარა. მაგრამ რაკი შველა დაგვიანდა, ექს-ჩემპიონად ქცეული მარადი ჩემპიონი ბრინჯაოსდა დასჯერდა. როდის წაავო „დინამომ“, როდის დაიწყო ამ გუნდის რღვევა და როდის გამოეტანა განაჩენი? „დინამომ“ ჯერ კიდევ მაშინ იყო წასაგებად განწირული, როცა პერმანენტულად ივებდა (მუდმივი ამქვეყნად არაფერია). გუნდს პირველი ბზარი მაშინ გაუჩნდა, როცა მერაბ ჟორდანიას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ჩემპიონის ინტერესებს დაპირისპირებული ძალა გახდა. ვისღა სურდა 10 წელიწადს ერთი და იგივეს ცქერა და... შეიცვალოს — იყო განაჩენი. „დინამომ“ მხოლოდ ერთი ჩემპიონატი კი არა ეპოქა წაავო. მისი ათგზის ჩემპიონობიდან აღარაფერია დარჩენილი, თარიღების გარდა. ათწლიანმა მეფობამ ჩემპიონი ვერ გაამდიდრა, პირიქით, ვალეში გახვია. „დინამოს“ რღვევა მაშინ დაიწყო, როცა პოლანდიელი მწვრთნელი იოჰან ბოსკაჰი დაითხოვეს და ჩემპიონატში მარცხიან სტარტს ოთარ კორღალიძის დანიშვნით შეებრძოლნენ. დაიწყო ბოსკაჰის მეთოდების (ბოლო ათწლეულში ყველაზე პროგრესულის) ძაგება, დაცვაში ხაზზე თამაშის უარყოფა, გუნდში დისციპლინის მოშლა, რამაც საბოლოოდ გადადგომა აიძულა კორღალიძეს. ახალმა მწვრთნელმა გუნდს წარუმატებლობის (10 ფრე) დასაძლევად მსხვერპლთმეწირვაზე უკეთესი ვერაფერი ასწავლა. ბოსკაჰი კი... ბოსკაჰი „დი-


ნამოს“ არ სჭირდებოდა. ის არ სჭირდებოდა იმ ქართულ ფეხბურთს, რომელშიმ არსებულ მაფიურ მეთოდებზეც პოლანდიელს წიგნის დაწერა შეუძლია. ეს სიტყვები უპოპულარეს გერმანულ ჟურნალ „იკერში“ დაიბეჭდა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მცდელობის მიუხედავად (ნათქვამი ჟურნალისტის სიზმრად წარმოეჩინა), ლამის მიელმა საფეხბურთო ევროპამ წაიკეთხა. ბოსკაჰის საქართველოში ჩამოყვანა ბლეფი გამოდგა, იმის მიუხედავად, რომ მშვენიერი მწვრთნელია და ეს ბელგიურ „გენკში“ დაბრუნებულმა თასის მოგებითაც დაადასტურა. პოლანდიელი დაუფიქრებლად გაისტუმრეს. წყალმა წაიღო მასზე, ბელგიელ დენი დონტზე და ღმერთმა იცის, საიდან მოსულ, ან საით წასულ ბრანზილიელ ანდრე „სილიო“ დე სოუზაზე დაიხარჯული თანხა.

მაგრამ ეს ყველაფერი მონაგონია, იმ ტრანსფერებთან, რომლებიც „დინამომში“ ნაბოსკაჰარს განხორციელდა. გუნდს არავის დახმარებაზე უთქვამს უარი, ვინც კი დიდიმის ბაზაზე სავარჯიშოდ მისული ნახა, სეზონის ბოლოს კი 22-ივე ფეხბურთელი ტრანსფერზე დააყენა, მეკალებს (TBC ბანკი, „მრეტები“) გასტუმრება უნდაო. „დინამომ“ ჯერ კიდევ ზამთარში მოაწერა ხელი კაპიტულაციას, როცა „ჩელსის“ რატო ალექსიძე, „ალანის“ მიხეილ აშვეკია, თბილისის „ლოკომოტივის“ კი შვილობილ „თბილისის“ ფეხბურთელები ხიზანიშვილი, კვარაცხელია და დინამოელივე გიორგი ლომაია დაუთმო. უფრო გამოცდილ რევაზ არველაძის და გიორგი ნემსაძის (რომ აღარა ვთქვათ 2-3 მატჩში გამოჩენილ მურთაზ შელაიაზე) იმედად დარჩენა კი ექსპედიციის დიდად ვერ დაეხმარა.

დინამოელთა საყრდენი თანგზის სიჭინავა და ჯოლხი მხველი ახსაბერ გორგოზია (№2)




საპალატიო აზრები




გაიოზ დარსაძის ჩამოყალიბებული საქართველოს თასის წინა ფინალისტი, კლუბის პრეზიდენტმა გრიგოლ რევაზმა დაითხოვა, და ახალგაზრდული გუნდი რევაზ ბურჯაძეს ჩააბარა, პირველ ეტაპზე ტყუილად უნდა დაეხიზარჯო. მალევე დანიშნულმა ახალმა თავკაცმა იასონ ბზიკაძემ მთლიან ეტაპზე გაძლიერებული შემადგენლობით ლიგაში დარჩენა ვეღარ მოახერხა.

მისია: გასაყარდნია ზონის დაძაბულობა ბოლომდე შეუწარმუნა.




ოთარ კორღალიძეს მეორე ტურში მის ნამზადებულ გუნდთან განხორება, მესამეში კი ყოფილ თანამშენებელ ნესტორ მუმლაძესთან დიდი ბრძოლის გადატანა მოუხდა. ყველა საფეხბურთო ნესით არჩასათილელო გოლით „დინამოსთან“ 2:3 ნაგებულმა „თბილისმა“ გვანჩენა: მვილობილი გუნდი ყოველთვის არ ნიშნავს კეთილმსურველს.

მისია: დაადასტურა, რომ ერთ ლიგაში ერთი პატრონის მიერ ორი გუნდის ყოლა გაუმართლებელია.



წინა ჩემპიონატში მთავარსარდლობას აჯანყებული წლეულის მიღად უპატრონიოდ დარჩა. ფეხბურთელთა რჩეულ მწვრთნელს, მამუკა გვეგუტყორს კლუბის პრეზიდენტმა უნდობლობა გამოუცხადა და ჯონი ჯანელიძე ამჯობინა, რომელმაც შემადგენლობა განაწესებულ გუნდი შუა ვაზზე მიატოვა და სეზონის ჩამთავრება ტექნიკურ დროექტორ თემურ ციციშვილს მოუხდა.

მისია: „დინამოს“ უპრეცედენტო, ორმარცხიანი სერია შვა.



პირველ ლიგაში ფრიდონ გოცირიძემ ალაზევა და სეზონიც მანვე ჩამთავრებინა. ხელახლა დაქვეითება პირველ ეტაპზევე გადაწყდა, როცა ჯემალ აბაიშვილის მწვრთნელობისას უმნიშვნელოვანესი ქულეები დაიკარგა და „იბერიასთან“ მატჩის მერე მსაჯთა ცემისთვის სტადიონს სეზონის ბოლომდე დისკვალიფიკაცია, გუნდს კი სენაბი თამაში მიესაჯა.

მისია: „ა“ ზონაში „იბერია“ გაიყენა.



10

5

4

8

21

15

7

6

7

1

3

შერილი მესამე რობერტსონი



ლანა ჯაფარიძე

1958 წლამდე სამხრეთ ამერიკის სტადიონებზე პირამიდისებრი შობილი, ვერეთ წოდებული ბრაზილიური სისტემა ბატონობდა. ამ სისტემის განმასხვავებელი ნიშანი ის გახლდათ, რომ დაცვა მეტოქის თავდამსხმელებს დიაგონალური პრინციპით ეწინააღმდეგებოდა. ანალიტიკოსთა ნაწილი ამტკიცებს, რომ პრეტენზიულობის მიუხედავად ბრაზილიური სისტემა სხვა არაფერი იყო, თუ არა იმხანად გავრცელებული WM-ის ვარიანტი, თუმცა ოპონენტთა აზრით ზემოსხენებული დიაგონალი მაინც პირამიდის შემდგომი საფეხური გახდა. ამობდნენ იმასაც, რომ ბრაზილიური სისტემა შევიცარიული კლიტას ნათესავი გახლდათ.

ბრაზილიელთა ფორმულა ასეთი იყო: 4-5-4. მართალია ეს ციფრები, ერთი შეხედვით, დაცვის შესუსტებაზე მეტყველებს, მაგრამ სინამდვილეში ასე არ იყო. რაღაც მსგავსი სხვაგანაც გვხვდებოდა: ნახევარმცველები დაცვაზე იყვნენ ორიენტირებულნი. საქმე კი ის გახლავით, რომ ოფსაიდის წესის ცვლილებამ კარის უსაფრთხოებაზე მეტი ფიქრი მოითხოვა. საჭირო შეიქმნა ისეთი მეთოდის შემუშავება, რომელიც მოთამაშეთა საჭირო მიმართულებით, დროულად გადაჯვავებას უზრუნველყოფდა ძირითადი დატვირთვა ნახევარმცველებს ერვით. ისინი თავდასხმასაც უნდა მიშველებოდნენ და იმავდროულად დაცვაზეც უნდა ეზრუნათ.

აი, რას წერს ავსტრიელი კრიტიკოსი კასტელი თავის წიგნში „ბრაზილიური სისტემის საიდუმლოებანი“: „ამ სისტემას ყველა რგოლის შეთანხმებული მოქმედება გამოარჩევდა, რაც საშუალებას იძლეოდა როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, საჭიროების შემთხვევაში გუნდის ცხრა ფეხბურთელს ემოქმედა.“

ბრაზილიური სისტემის დამსახურებად, ზონური დაცვის შერეული დაცვით შეცვლასაც მიიჩნევენ. ლიბერო ანუ თავისუფალი მცველი მეტოქის შეტევის მიმართულების მიხედვით გადაადგილდებოდა. განაპირა ნახევარმცველები გარემარბებს დასდევდნენ, ხოლო ცენტრალური ერთ-ერთი ინსაიდის ლანდად იქცეოდა. მეტოქის მეორე ინსაიდს, კოლეგა ანუ ინსაიდივე დასდევდა. ჰავეკებს შორეული დარტყმებით ვოლის გატანა მოეთხოვებოდათ, ხოლო მეკარეებს ნება ეძლეოდათ შესაფერის ვითარებაში კარი მიეტოვებინათ და ფაქტობრივად ლიბერობა ეკისრათ.

ახლა კი დაეუბრუნდეთ 1925 წელს, როდესაც ფეხბურთის წესთა საერთაშორისო კომიტეტმა ოფსაიდის განმარტება შეცვალა, სადღანაც ლონდონის „არსენალზე“, მის მწვერ-

თელზე, ჰერბერტ ჩემპენზე და ზემოსხენებულ WM სისტემაზე გადავალთ.

მაშ ასე, 1925 წელმა და ოფსაიდის წესის ცვლილებამ საფეხბურთო სისტემათა განვითარების თვალსაზრისით უდიდესი როლი ითამაშა. შეგახსენებთ: მანამდე თამაშარეთ ითვლებოდა ფეხბურთელი, რომლის მიმართულებით პასის გადაწოდების დროსაც მის წინ სამი მოწინააღმდეგე აღმონდებოდა. ამით მცველები ერთობ მოხერხებულად სარგებლობდნენ და ათასგვარ ხაფანგებს იგონებდნენ, რის გამოც მსაჯებს წარამარა უწევდათ თამაშის შეწყვეტა. ამან, ცხადია, ფეხბურთისადმი ინტერესი მნიშვნელოვნად შეამცირა. აუცილებელი გახდა წესებში ოფსაიდის პუნქტის გადაკეთება და აი, შედეგიც: ინგლისში, 1925-26 წლების პირველობაზე 6373 გოლი გავიდა, მაშინ, როდესაც წინა სეზონში გატანილ გოლთა რაოდენობა 4700-ის ტოლი იყო.

გოლების თავსხმის წინააღმდეგ მწვერთნელებმა ახალი ვარიანტების გამოგონება დაიწყეს, მაგრამ ოპტიმალური ვერსიის ძიებაში დაახლოებით ხუთი წელიწადი მიიღია. პიროვნება, რომლის სახელთანაც ამ ოპტიმალური ვერსიის შემუშავებას აკავშირებენ, „არსენალის“ თავკაცი ჰერბერტ ჩემპენი გახლავთ. ჩემპენის ამოსავალი წერტილი მარტივი იყო: მთავარია, მოწინააღმდეგეზე არ გაიბრუნოს და სულ მცირე არ წავაგებ, მაინც.

„მოძებნა ფეხბურთელებისგან შთაგონებაზე ლაპარაკის მოსმენა. ჩვენ შევიმუშავებთ თამაშის კოლექტიურ მეთოდს, რომელიც შედეგს მოგვტანს. გუნდის თითოეული წევრი მანქანის ჭანჭიკად უნდა იქცეს“ — შემორჩა ისტორიას ინგლისელის ნათქვამი.

ახალი სისტემის წყალობით „არსენალი“ რვა წლის განმავლობაში ხუთჯერ გახდა ინგლისის ჩემპიონი, თუმცა ფრანგი ისტორიკოსი, რეტაკერი წერს: „ახალი მე-



ჰერბერტ ჩემპენი

თოდის მამა ჩემპენი კი არა, შოტლანდიელი ჰანტიერი გახლავთ. სწორედ ჰანტიერი იყო პირველი, რომელმაც „მოხერხების“ თამაში საფეხბურთო წესების ცვლილებას მთარგოა.“

ასე იყო თუ ისე, ცენტრალური ნახევარმცველი უკან დახიეს და ორ განაპირა მცველს შორის განაწესეს — იგი ცენტრალურ მცველად იქცა. სამი მცველის წინ დარჩენილი ორი ნახევარმცველი და ორიც ინსაიდი ვერეთწოდებულ მაგიურ კვადრატს ქმნიდნენ. პირველები უფრო დაცვაზე ფიქრობდნენ, მეორენი შეტევაზე, მაგრამ მთავარი მაინც მათი ორგანიზატორული როლი გახლდათ. წინ, თავდასხმაში კი ერთი ცენტრალური და ორი განაპირა ფორვარდი მოძრაობდნენ.

დავხელოთ აღწერილ სქემას ზემოდან. ცალკე თავდამსხმელები და ინსაიდები, ცალკე კი მცველები და ნახევარმცველები წარმოსახვითი ხაზით დავაკავშიროთ და ლათინურ ასოებს W-ს და M-ს მივიღებთ. სწორედ ასეთი სახელწოდებით შემორჩა ხსენებული სისტემა ისტორიას: WM.

შრომის სწორი განაწილება, აი ეს იყო მთავარი — აღნიშნავენ სპეციალისტები და ხაზს უსვამენ, რომ WM-ის დროს მონდის მთელი ფართობი რაციონალურად გახლდათ განაწილებული. აშკარა იყო მოთამაშეთა თანამშრომლობა, ურთიერთდახდევა და პოზიციათა შერჩევა. შემოიღეს უამრავი საწვრთნელი სახალე და მეთოდი. გახშირდა გრძელი გადაცემების რაოდენობა, თავით თამაში, საგანგებო მოთხოვნები განხდა ფიზიკური მომზადების მიმართ. დახივეწა პოზიციათა გაცვლის ხერხები, მწვერთნელთა დავალებები გაცვლებით დაკონკრეტდა და საფეხბურთო ლექსიკონში შემოვიდა ახალი სიტყვა — უნივერსალიზმი.





მარაკანადან მარაკანადე

მესი, მატარებელი, სპონსორი, მანაიკი, სინაგოგის მფლობელი, ნიჟარა, სულაქმელი, ჩაქვანი
რა საერთო აქვთ ამ ფეხბურთელებს?
ამთ უთაბაშიათ თბილისის «დინამოში».
უთაბაშიათ სსრკ ნაკრებში.
უთაბაშიათ მარაკანაზე!

ალგუჯა ბერიშვილი

ალბათ, თქვენამდეც მოაღწევდა დიდი კომბინატორის უცნაური ახირების ამბავი. რას არ ეცადა ფულის შოვნის ოთხას პატოსნურ ხერხს დაუფლებული ოსტაბი, როგორმე ხუთასი ათასი მანეთი „დაემართხლებინა“ (თანაც „შეძლებისდაგვარად ერთბაშად და არა ნაწილ-ნაწილ“), რათა სოციალიზმის მშენებლობის მოსაწყენ საქმეს გარიდებოდა და „ძალიან შორს, რიღე ჟანეიროში გადახვეწილიყო“.

იმდროინდელი მცირე საბჭოთა ენციკლოპედიის მონაცემებით, რიოში 1360 ათასი კაცი ცხოვრობდა, მეტწილად — მეტი-მულატები, თანაც ყველანი უკლებლივ თეთრ შარვლებში გამოწყობილნი, ქალაქის მთავარი ქუჩები კი, მდიდრული მალაზიებითა და შენობებით, მსოფლიოს უპირველეს ქალაქებს გაეჯიბებოდა.

თეთრი შარვლები და, უფრო შორტები, დღემდე მოდამია, ოღონდ, ადრინდელისგან განსხვავებით, ჩარლსტონს ახლა ეგზოტიკურ სამაას ამფობინებენ, გოლფსა და კრიკეტს კი მაგიურ ფეხბურთს! ქალაქიც უფრო გაშლილა და განირაღდნებულა, უფრო მომხიბლავი, მხიარული და სპორტული გამხდარა. რონალდოსაც არ ეგულება რიოზე უმჯობესი ქალაქი და სხვა

ბევრი ეთანხმება (პარიზელთა, ვენეციელთა, ბარსელონელთა და კიდევ ზოგიერთთა გამოკლებით).

გადაჭარბებულია? თუ ასე ფიქრობთ, რიო არ გინახავთ. გადაღეთ ყველა საქმე, გადალახეთ ყველა დაბრკოლება და ჩადით რიოში. თავად ნახეთ და მერე ვიკამათოთ. კვლავ გაიხსენეთ დიდი კომბინატორის ენებანი და მაცდური „ჩემს გოგონას აქვს ერთი პატარა რაღაც“ და... სხვა რაღა გითხრათ. ეს ოდისეა, ადრე ხუთასი ათასი რომ ღირდა, ახლა ათას ხუთასი დაგიჯდებათ (ოღონდ — დოლარებში), ან ცოტა მეტი. ნუ იტყვით, რომ გუშინწინ პურის ფულს გასარეცხად გადადებული შარვლის ჯიბეში ეძებდით. ოღონდ ეძებეთ! თუ ძალიან მონდომებთ, ხურდასაც აიოვით და, თქვენ წარმოიდგინეთ, რიოშიც გაფრინდებით.

ჩვენ გავფრინდით, მე და მიზერ ლიპარტელიანი, დაუშურველი მეგობარი და ხალისიანი თანამგზავრი, კაცი, რომელსაც თურმე ჩემზე მეტად ჰყვარებია ბრაზილია — ქვეყანა ხუთასი წლის და ორიათასხუთასი სასწაულის.

ზუსტად ხუთასი წლის წინ, 1500 წლის 22 აპრილს, ატლანტის ოკეანეში საზიფათო და მომქანცველი მოგზაურობისას, გზაბნეული ხომალდის კაპიტანი პედრუ ალ-

ვარემ კაბრალი უცნობ მიწას გადააწვდა და ღუზის ჩაშვება ბრძანა. კუნძული ეწონათ და კონტინენტი არ აღმოჩნდა! კაბრალი პორტუგალიელი გახლდათ და ეს მიწაწყალი პორტუგალიად გამოაცხადა.

ზუსტად ხუთასი წლის შემდეგ, 2000 წლის 22 აპრილს ჩვენი თვითმფრინავი სან პაულუში დაეშვა. სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად, ბრაზილიის დიდ იუბილეზე ბრაზილიაში აღმოჩნდით.

სან პაულუ არ აღმოჩნდა „ჩვენი“ ქალაქი. მრავალსართულიან შენობათა ტყეში ამომართული ცათამბჯენები ალ კაპონეს დროინდელი ჩიკაგოს მოგავიწყებთ, თვალუწვდენელ ფერდობს შეფენილი გარეუბანი კი ადის-აბეას ჭუჭყიან კვარტლებს. ოცმილიონიან მეგაპოლისში სუნთქვა ჭირს. აქ ისე ვერ ცხოვრობენ, როგორც შრომობენ. გესალმებიან და, კი არ გიღიმიან. სან პაულუ ბრაზილიის სამრეწველო დედაქალაქია და სპორტული თვალთ თუ გადავხედავთ, უწინარესად „ფორმულა 1“-ის ტრასა გამოარჩევს. თებერვალ-მარტის ცნობილი რბოლები უკვე ჩავლილია და აქ აბარა გვესაქმება.

ახალშეთნებულზე ავტობუსი რიოსკენ მიგვაქანებს. ოცნების ქალაქამდე 450 კილომეტრია და ბევრია თვალსასიეროც: ეგზოტიკური ბუნება ეგზოტიკური ხალხით, ტრა-



რონალდო, ვილი რიოსი

სას აღევნებული ყავის პლანტაციები და გადასასახლებელი საფეხბურთო მოედნები. ყავა და ფეხბურთი, იცოცხლეო, კარგი იციან, მაგრამ სხვა რამეებიც ცოდნათ. გადაუდგებიან თურმე, ფიშტოანი შავი ბიჭები აღმართზე შემდგარ, სიჩქარედაკარგულ ავტობუსს და თუ მარჯვედ არ დაუდექი, ბანანივით გაგფეჭქნინან მგზავრმოფრინან. ამ გზაზე ბოლო ფიშტობანა სამილედ დღის წინ ყოფილა, მაგრამ სვირსამ-მოგამოვლილებს რა დავამინებდა. ერთი ახალი და საჭირო ამბავიც შევიტყვეო: ბრაზილიაში, თურმე, ოთხი რამ იკრძალებდა კატეგორიულად: ა) მატჩის დროს მოედანზე შიშვლად გაგვარდნა; ბ) დატყვევა, მართლა არის თუ არა ბრაზილია ულამაზესი ქვეყანა; გ) თუთიფუმის ხელყოფა (სხვათა შორის, სწორედ თუთიფუმის ერთ-ერთი ნაირსახეობის სახელი დაენათლა მარაკანას, რომელსაც ამავე სახელწოდების მდინარეც ჩაუდის); დ) სან პაულუმში რიოს ხსენება და პირიქით.

არადა, ბრაზილიური ფეხბურთის თავფურცელი სწორედ სან პაულუმში დაიწერა. აქაური ყოფილა ვინმე შარლ მილერი, რომელსაც ათი წელი ინგლისში, საუთჰემპტონში დაუყვია, გვარიანი ბურთაობა უსწავლია და შინ მობრუნებულს, ორი ბურთი და რამდენიმე მაისურა წაძლია. 1894 წლის 15 აპრილს, მილერისვე მეცადინეობით, პირველი საფეხბურთო მატჩიც გაუმართავთ სან პაულომში... ასე დაწყებულა!

მაგრამ დღეს რთი ღე ჟანერი პირველობს.

თუ ბრაზილიური ფეხბურთი უბადლოა მსოფლიოში, თვით ბრაზილიაში რიოს ფეხბურთია საუკეთესო. „ფლამენგო“, „ბოტაფოგო“, „ვასკო და გამა“, „ფლუმინენსე“... სხვა რამ საბუთიც გნებაუ? მოითხოვეთ და მიიღებთ. მანამდე კი თვალს წყალი დააღვინეთ და ნახეთ რიოს ქუჩები, გაიხსენეთ ჟაკ ბრელის სიტყვები: „ბრაზილია ოქროა, რთი ღე ჟანერიო — ბრილიანტი ოქროში.“ აგერ ცენტრალური კვარტალი, ბრანკოს ისტორიული მოედანი, მუნიციპალური თეატრი და მონუმენტური ეროვნული მუზეუმი, აყილებაზე აღმინისტრაციულ და საოფისე შენობათა გრძელი რივი. გაივლით ხუთილედ კილომეტრს და გვირაბის ბოლოს კოპაკაბანა შეგეფეთებთ. ესეც ცენტრია, ოღონდ ტურისტული. საიდან არ ჩამოდიან რიოში და მაინც კოპაკაბანაში ჩერდებიან. ჩვენც აქეთ გამოვსწიეთ და არჩევანით ფრად კმაყოფილნი დავარჩით. პლაჟი სხვაც ბევრია. თუნდაც შეწყვილებული იპანემა და ლებლონი, მზეთუნახავი ვიდივალი, თავაშვებულ პეპინო სან კონრადე და ა.შ. მაგრამ კოპაკაბანა შეუდარებელია: სამკილომეტრიანი სანაპირო რკალი თეთრი „ხრამაშუნა“ ქვიშით, ფეშენებელური სასტუმროები გაჩირადნებული კაფერესტორნებით, დისკოთეკებით და ღამის კლუბებით, მიღებული საცხოვრებელი უბნები ეგზოტიკური ხეივანებით და უშველებელი ქოქოსის პალმებით. პლაჟის მოელ სივრცეზე ფეხბურთის მოედნებია, აქაიქ — ფრენბურთისა. საორტი აქ

ცხოვრების წესია და არა მოდური გატაცება. მორბენალთა „წყალუხვ მდინარეში“ ყმაწვილებსაც შეხვდებით და თამაშვეერცხლილ ქალბატონებს. იქვე ქირავდება ველოსიპედი, გორგოლაჭი და სერფინგი. მთავარი, რა თქმა უნდა, ფეხბურთია. დამსვენებელთა სახელდახელო მატჩებს პროფესიონალობა — მსაჯებით, გულშემატკივრებით, პრიზებით... ამასობაში იქვე ქუჩის გადამა მზის ჩასვლას დადარაჯებული ქლაქი ღამის „თამაშობებს“ ეშურება — სხვა „მოედნებით“ და პერსონაჟებით. და ამ საერთო მხიარულებას შვიდასი მეტრის სიმაღლიდან ვადმოჟყურებს ქრისტეს უზარმაზარი ქანდაკება, აღმართული კორკოვადუს წვეტიან კონცხზე. თუ ათ დოლარს არ დაინანებთ და მინიმალური კორკოვადუსე ამადლებით, თვალწინ გადაგვშლებათ ზღაპრული პანორამა ზღაპრული ქალაქისა, რომელიც ოკეანის ღურჯ უსასრულობაში იძირება. აქედან ხელისგულივით ჩანს ძველი და ახალი რიო, ღარიბთა უბნები, ე.წ. ფაველები. აგერ ბოტანიკური ბაღი, იპოდრომი, სახელგანთქმული პანდი ასუკარი და, რა თქმა უნდა, მარაკანას ნაცნობი ოვალი.

ჩვენ უკვე ვიყავით მარაკანაზე კოპაკაბანადან ავტობუსით ნახევარი საათის სავალზე. გვირაბი ბოტაფოგოში გავიყვანთ, იქედან ფლამენგოში

(უბნების სახელებია) მოხვდებით, ცენტრს გვერდს აუქცევთ და სანტა ტერეზას ვიწრო ქუჩებით მარაკანას მიადგებით. მანამდე, სამი თუ ოთხი განკერებით ადრე, თვალს მოგტაცებთ უშველებელ ტრიბუნათა გრძელი რივი. ეს სამბადროშია! აქ, ამ მოკირწყლულ პროსპექტზე ყწვობა გარნიდოზული კარნავალი, ამ ტრიბუნების წინ, ასი ათასი მაყურებლის თანდასწრებით (ცენტრალური ტრიბუნის ბილეთის ფასი, თურმე, 100 დოლარამდე ადის) იმართება ერთკვირიანი მეჯლისის სამბას სახელოვანი სკოლებისა და ტრადიციული გუნდებისა, რომელთა ფანტაზიაც, მართლაც რომ უსაზღვროა...

დღეს კი უწვეული სიწყნარეა სამბადრომზე — მარტის კარნავალი ჩავლილია და დარწყულებული ღამაზმანებიც გაკრეფილია.

სიწყნარეა მარაკანაზეც. ცენტრალურ შესასვლელთან, ნიკეაპრობილი გარინნას ხუთმეტრიანი ფიგურის ჩრდილში უბნის ბიჭები ჩაცუცქულან და გუშინდელ მატჩზე ცხარობენ. გუშინ მარაკანაზე დიდი ფეხბურთი იყო. ომარაოს „ვისკოპ“ ფინალში „ფლამენგო“ გაანადგურა (5:1) და „კამპეო და ტაეგუანაბარა 2000“-ის მთავარ პრიზს დაეუფლა. ჩვენ გუშინ გვიან ჩამოვვლით რიოში, მაგრამ თამაშს ვერ მივუსწარიით. ახლა ცარიელ სტადიონს ვესტუმრეთ. დრო მოგიხვლით და,

რიო - დიდი ჯოგინაბორის ოცნება



რა გასაკვირია, გულმა აქეთკენ გამოგვიწია... ვიზიტორთათვის ცალკე შესასვლელია — ექვს რეალს გადაიხდი და მარაკანაც შენია. იჯექი და იოცნებე რამდენიც გინდა. მანამდე კი პირველივე სართულზე იმ დარბაზს გაწვევენ, უამრავი პრიზი, თასი, მედალი და ფოტო რომ გამოუფენიათ. საუკუნის წინანდელი, ქუჩური ფეხბურთის გაცივებულ კადრებს უძლეველი ნაკრებები და გუნდები ენაცვლებიან. აგერ გარინჩას სევდიანი სახე, პელე, დიდი, ვავა, მაურო, ზაგლო... რომელ ერთს ჩამოთვლი... ამასობაში, ლიფტისკენ გიხმობენ და პირდაპირ მეთორმეტე სართულზე აფაგზართ, აქედან კი ბოლო იარუსზე ხვდებით. არენას თვალს მოავლებთ და უნებლიედ წამოგცდებით — „აუუ, რამხელაა“ და სხვა ამდაგვარი. როცა ემოცია ჩაცხრება და აღტაცება გაივლის, უთუოდ გაიხსენებთ ძველ ამბებს და პატივს მიაგებთ მარაკანას აღმშენებლებს, რომლებმაც 50 წლის წინ, დიქტატორ ვარგასის ეპოქაში, სულ რაღაც ოცდაორ თვეში ააგეს ეს სასწაული. რა თქმა უნდა, დიდ მარაკანულ ფეხბურთსაც გაიხსენებთ და გულიც დაგწყდებათ, რომ იმ ბატალიებს ვერ შეეწვართ. პირველი პროზაული კითხვაც გაგიჩნდებათ: მაინც რამდენი ადგილია მარაკანაზე? 165 ათასი — გასახუობენ სტადიონის ადმინისტრაციაში.

ცნობარებში ნუ ჩაიხედავთ, თორემ სულ დაბნევით: 125 ათასი იწყება და 200 ათასს აღწევს. ერთი კი დანამდვილებით ცნობილია: 1950 წლის 17 ივლისს მარაკანაზე 203 849 ბილეთი გაყიდულა (არც მანამდე და არც შემდეგ, მსოფლიოს არცერთ სტადიონს არ სწევია ამდენი მაყურებელი). სწორედ იმ დღეს მარაკანაზე ეროვნული ტრაგედია დატრიალდა: ბრაზილიამ ურუგვაისთან წააგო მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური მატჩი... მაგრამ არ გვინდა ცუდი ამბები. ვიფიქროთ კარგზე და მხოლოდ კარგზე. როგორც ამბობენ, ცხოვრება მშვენიერია. ჩვენ ისევ მოვალთ მარაკანაზე და მოვალთ ფეხბურთის სანახავედ, ზუსტად ერთ კვირაში. მანამდე კი საქმეს მივხედავთ. წინ ფორტალეზა — სერას შტატისა და სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის 13-ე კონგრესის დედაქალაქი. მივფრინავთ „ტრანსბრაზილის“ ბოინგით — სამი ათასი კილომეტრი შორეული ჩრდილოეთისკენ, რესიფეს გავლით. ფორტალეზა, ანუ ციხესიმაგრე პროვინციული ქალაქის კვალბაზე ურიფო არ ჩანს. მშვენიერია ზუთვარსკვლავიანი „მარინა პარკ ოტელი“ — კონგრესის დელეგატთა ნავსაყუდი. ხვლიდან აქ დიდი ბჭობა გაიმართება: კოლეგები კოლეგებთან პროფესიულ პრობლემებზე იმსჯელებენ და ეს



რობერიო „კასკო“ ფლამენგო ბანდერა

„ჩემს გოგონას აქვს ერთი პატარა რაღაც“



ამბავი — სხდომები, მოხსენებები, ბრიფინგები — ხუთ დღეს გასტანს. მასპინძლები თავს გვევლებიან და უქმად არ გვაჩერებენ: სხდომას ექსკურსია ცვლის, ვიზიტს — ბანკეტი და, რა თქმა უნდა, ყველაფერი ფეხბურთით მთავრდება — კონგრესის ბოლო დღე „BRAZIL-2006“-ის პრეზენტაციით დამდება. აქ არის საორგანიზაციო კომიტეტის ხალხი — კლიპებით, ბუკლეტებით, სუვენირებით. ბრაზილიას მსოფლიოს XVIII ჩემპიონატის მასპინძლობა განუზრახავს და სპორტულ ჟურნალისტიკა გულის მოგებას ცდილობს, მათი მემკვიდრეობით კი — ფიფას მალაჩინოსანთა გადაბირებას.

გულშემატკივრის გული ისედაც ბრაზილიას ეკუთვნის და ჩვენ რიოსკენ მიგვექცარება. ასეა — ვამბობთ რიოს და ვველისხმობთ ფეხბურთს. დღეს მარაკანაზე „ფლამენგო“ „ამერიკას“ ეთამაშება — „CAMPEONATO ESTERDUAL“-ი ახალი დაწყებულია... თვითმფრინავის ილუმინატორიდან უკვე ჩანს რიოს კონტურები. კვლავ კოპაკაბანა, ისევე სასტუმრო „აკაპულკო კოპაკაბანა“. ნაცნობი პორტზე გვაფრთხილებს: ფული და ზედმეტი ნივთები დატოვეთ, მაწანწალებს და საეჭვო პირებს ურიდეთო. ამგვარ რამეს ნებისმიერ აქაურ ტურისტულ ცნობარში ამოიკითხავთ. ათმილიონიან რიოში უამრავი უმუშევარი და მთიწვარია, ორ მილიონამდე უპოვარი კი ბარაკებსა და ღია ცის ქვეშ, პალმების ჩრდილში ცხოვრობს. ღარიბთა ზოგ უბანში,

თორემ, პოლიციაც ვერ შედის. ქურდობა, ყჩაღობა და მკვლელობა ჩვეულებრივი ამბავია. ფეხშიშველა ზანგის ბიჭი მუშტრის თვალით გათვალისწინებს და ფიქრობს: „რა დამავდება, ამას საფუფე რომ წავართვა ან თუნდაც ფოტოაპარატი“... პოლიციას ქალაქი კრიმინოლოგურ ზონებად დაუყვია. მარაკანა და მიმდებარე ქუჩები საშუალო ზონაში შედის, მაგრამ ახლა ჩვენ მხოლოდ ფეხბურთზე ვფიქრობთ და ისევ მარაკანაზე მივდივართ. საღაროებთან გრძელი რიგებია. ფლამენგოს დროშებიანები სჭარბობენ. ცენტრალური ტრიბუნა მათია. ჯერ გუნდები არ ჩანან, ესენი კი ერთი ამბავში არიან. თამაში გახსურდება და ამბავი მერე ნახეთ — გუგუნებს და ზანზარებს აქაურობა. ტრიბუნაზე „ფლამენგოს“ ხალხი ბატონობს, მოედანზეც იგივე ხდება. დღეს „ფლამენგო“ აშკარა ფავორიტია და საბოლოო შედეგიც ამის შესაფერისი — 4:1. ბევრი გოლი და კარო ფეხბურთი... მოგებულა ზეიმი ორიოდ წუთში რიოს ქუჩეში გადაინაცვლებს, რათა გამელელ-გამომელელს თავი მოაწონოს და, თუ ისურვებს, გამარჯვების სიხარულიც უწილადოს.

ორიოდ დღეში კვლავ იხუვლებს მარაკანა, კვლავაც აფლერდება საფეხბურთო მელოდია და გოლებიც ვავა. იმ მატჩებს სხვა ქართველები ნახავენ და ასე იქნება აუცილებლად. ნუ გეშინებათ რიოში ჩასვლა. ძნელი რიოსთან განსორებაა.

სსპადასსპა

ცეცხლი მზაში

აქთანდელ ჭყვიშელი

ოლიმპიური თამაშების სახეიმი გახსნის ცერემონილის აპოთეოზი ჩირაღდნის ესტაფეტის დასასრული და ოლიმპიური ცეცხლის ავიზგიზებაა. სიდნეის ოლიმპიური თამაშების ამგვარი კულმინაციისთვის ჩირაღდანი 9 მაისს ტრადიციისამებრ ანტიკურ ოლიმპიაში, ჰერას ტაძრის ნანგრევებში აანთეს. იქ მსახიობმა ქალებმა ტალია პროკოპიუს მეთაურობით მზეს ცეცხლი მოსწყვიტეს, ოლიმპიური ჩირაღდანი აავიზგიზეს და შორეული სიდნეისკენ გზას გაუყენეს.

ეს ცეცხლი ადამიანებს პრომეთემ აჩუქა. უფრო სწორედ, მან ზევსს ცეცხლი ციდან მოსტაცა და ხალხს დაუბრუნა, რათა შემდგომ ჩირაღდანიც დაენითო და კულტურის წინსვლისა და განათლების სიმბოლოდ აევიზგიზებინა. მაღლიერმა ხალხმა იმ უხსოვარ დროში პრომეთეებს — პრომეთეს სადიდებელ დღესასწაულებს ჩაუყარა საფუძველი. ათენში გამართულ ამ ზეიმზე ჩირაღდნებით რბენა იმართებოდა.

თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ჩირაღდანი ესტაფეტის ტრადიციას პრომეთეს სადიდებელი დღესასწაულების ცეცხლოვან რბენაც დაედო სათავედ. თუმცა, ამგვარი სათაგის წყარო მხოლოდ ეს როდი იყო. მაგალითად, ათენში იმართებოდა ამ ქალაქის მფარველი ქალღმერთის, ათენა-პალადის საპატიე-

ცემულო პანათენური თამაშები. მის სპორტულ პროგრამაში იყო ანთებული ჩირაღდნებით რბენა, რასაც ლამაოდ დრომს უწოდებდნენ.

ლამაოდროში ამშვენებდა სხვა ანტიკურ დღესასწაულსაც — ათენის გარეუბანში მდებარე ამ ქალაქის გმირის, აკადემიას წმინდა ჯაღში იყო პრომეთეს საკურთხეველი. გვიან ღამით სწორედ იქ ანთებდნენ ცვილის ჩირაღდნებს და იწყებოდა ცეცხლოვანი ესტაფეტა, რომელიც ქალაქისკენ მიემართებოდა. გამარჯვებულად ითვლებოდა ის გუნდი, რომელიც ცეცხლის გამოყენებით ხელისნის (მჭედლის ან მეპურის) სახლამდე პირველი მიარბენინებდა ჩაუქრობელ ჩირაღდანს და ღუმელსაც აავიზგიზებდა.

ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, ანტიკური ოლიმპიური თამაშების პირველ დღეს მსხვერპლთშენიერვასთან ერთად ოლიმპიელი ზევსისა და მისი მეუღლის, ღმერთქალ ჰერას პატივსაცემად ჩირაღდნის სახეიმი ესტაფეტა ეწყობოდა.

ეს ლეგენდებიც რომ არა, ძველი ელადის უდიდესი მცოდნენი, ფილოსტრაცი და პავსანია მოგვითხრობენ, თუ ყველაზე მოკლე დისტანციაზე (200 მეტრამდე) გამარჯვებული ათლენი წმინდა საკურთხეველში როგორ ანთებდა ცეცხლს ზევსის ტაძრის ქურუმებისაგან მიღებული ჩირაღდნით.


ტრადიციის მიხედვით, ოლიმპიურ ზეიმს მის მონაწილეთა ჩირაღდნებით გრა-

ნდიოზული სვლა ასრულებდა. იმართებოდა აგრეთვე ანთებული ჩირაღდნებით ესტაფეტაც.


ამ ღამაზე ტრადიციის აღდგენის იდეა თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ფუძემდებელმა პიერ დე კუბერტენმა ჯერ კიდევ 1912 წელს წამოაყენა: „ხალხი, რომელიც ოლიმპიურ ჩირაღდანს მიიღებს, თვალისწინებით გაუფრთხილება მას და შეძლებისდაგვარად მის ალსაც გააძლიერებს.“

მაშინ, როცა კუბერტენმა ეს სიტყვები წარმოთქვა, არავითარი ოლიმპიური ჩირაღდანი არ არსებობდა. ეს იყო მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა, რომელიც 16 წლის მერე, 1928 წლის ამსტერდამის ოლიმპიურ თამაშებზე ასრულდა. თუმცა, ნიდერლანდების ამ უდიდეს ქალაქში ცეცხლი ანტიკური ოლიმპიიდან არ ჩაუტანიათ და არც ჩირაღდნის ესტაფეტა გამართულა.

ოლიმპიურ ცეცხლთან დაკავშირებული ცერემონიალი პირველად 1936 წელს ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე გაიმართა. იქიდან მოყოლებული ოლიმპიურ ცეცხლს ტრადიციისამებრ, ოლიმპიაში, ღმერთქალ ჰერას ტაძრის ნანგრევებში ანტიკურ სამოსში გამოწყობილი ბერძენი მსახიობი ქალბატონები გამადიდებელი შუშის საშუალებით შხის სხივებისგან ანთებენ, მერე კი ჩირაღდანი დღის თუ ღამით, დარში თუ ავდარში მოგზაურობს...



ლეიკარსის დუჟინი, შაკილის ჰეთ ტრიკი



დასავლეთიდან ვარსკვლავები
დახუნძლული და მძლავრი „ლოს
ანჯელეს ლეიკერსი“, აღმოსავლეთიდან
თანაბროშემაღვინლობიანი და ყველა
რგოლში დაბალანსებული „ინდიანა
პეისერსი“. პირველს შეხამონა ვად
ჩატარებული რეგულარული სეზონი
უმაჯრებდა ზურგს, მეორეს ბოლო
წლებში მიღწეული სტაბილურობა. ეს
გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს
ერთნული სავალაობურთო ასოციაციის
პლეი ოფის ფინალში. ექვსი მატჩის
შემდეგ გამარჯვება „ლეიკერსმა“
მოიპოვა და ჩემპიონის ტიტული
თორმეტი წლის შემდეგ დაიბრუნა.
ლოსანჯელესელები მეთორმეტედ
გამეფდნენ მსოფლიოს უდიდეს
სავალაობურთო ლიგაში.

თუ მშ-იან წლებში „ლეიკერსს“
ლეკენდარული მეჯექი ჯონსონი და
ქარიმ აბდულ ჯაბარი ლიდერობდნენ,
დღევანდელ გუნდს ახალთაობის
ვარსკვლავები, შაჟილ ონილი და კობი
ბრაიანტი მიუძღვებიან. შაჟილმა
ფინალის ექვსივე მატჩში 30 ქულაზე
მეტე გააკეთა, ხოლო სამჯერ
ორმოცქულიან ზღვარს გადაცდა.

რა გასაკვირია, რომ ონილი პლეი
ოფის ფინალის უძვირფასესი მოთამაშე
გახდა. ამით შაჟა ერთ სეზონში
ტიტულების ჰეთ ორივე შეასრულა:
მანამდე იგი სეზონის და ოდ სტარზის
უძვირფასეს მოთამაშედ აღიარეს.
ისტორიაში ასეთი რამ მხოლოდ ორ
კალაობურთელს მოუხერხებინა: 1970
წელს „ნიუ იორ ნიქსის“ ვილის რიდს,
ხოლო 1996 და 1998 წლებში „ნიკაგო
ბულზის“ მაიელ ჯორდანს.



„მი შენი გულის გამოღება მინდა“, „შენი
ბავშვები უნდა შეეჭამო“, ამ სიტყვების
მოქმელი კაცი, ცხადია, ფსიქიატრიულ სა-
ავადმყოფოში უნდა იყოს მოთავსებული,
მაგრამ იგი სუფთა ჰერზე თავისუფლად
დასეირობს და ჰოი, საოცრებავ, 29 ივნისს
38 წამში 9 მილიონი დოლარიც იძოვა, თუ-
მცა, როცა ლაპარაკია მაიკ ტაისონზე, ალა-
რაფერია გასაკვირი.

რკინის მაიკმა გლაზგოს „ჰემმდენ პა-
რკის“ რინგზე ამერიკელ ლუ სავარეზეს
შავი დლე გაუთენა, ზემოსხენებულ დრო-
ის მონაკვეთში რინგზე გამოტა და ეგ კი
არა, ბროლის რეფერისაც კი ნაუთაქა. მე-
რე კი მოდგა... დასანყისნი ნათქვამი გუ-
ლისა და ბავშვების ჭამის ამბავი ლენოქს
ლუისის მისამართით იყო ნასროლი. ტაი-
სონმა, აქაოდა მსოფლიოს უძლიერესი მო-
კრივე მე ვარ, მაგ ბრიტანელს ტყუილად
მემოურტყამს ნელზე ჩემპიონის ქამრე-
ბოი. ამერიკაში, ფრანსუა ბოთასთან საჩ-
ხუბრად გამზადებული ლუისი ტაისონის
მუქარამ, ცხადია, ვერ შეაძინა — ტაისო-
ნთან შეხვედრას ვნატრობ, ერთი სული
მაქვს, მაგ ბაქი-ბუქას ყებში დაუხნაყო.
ერთი სიტყვით, კრივის სამყაროში დიდი
ამბებია მოსალოდნელი.

ლიბა გაეშავა

ბოლო ოთხი წელია სტენლის თასს
დასავლეთ კონფერენციის გუნდები
ფლობდნენ, წლეულს კი ნკლ-ის მზე
აღმოსავლეთიდან ამოვიდა. პლეი ოფის
ფინალურ სერიაში ნიუ ჯერსი თასის
შარშანდელი მფლობელი დალასი 4:2
დამარცხა და საწუკარ ჯილდოს
დაეპატრონა. ბოლო ათწლეულში
ნიუჯერსელმა ეშმაკებმა ეს მეორედ
მოახერხეს — 1995-ში მათ დეტროიტე-
ლებს 4:0 მოუგეს. პლეი ოფის უძვირფა-
სეს მოთამაშედ ნიუჯერსელთა კაბიტანი
სკოტ სტივენსი მიიწინეს. ბობარდირი
კი 24 ქულით (11+13) დალასელი ბრეტ
პალი გახდა. ტრადიციისამებრ სპეცია-
ლისტებმა საუკეთესო ექვსეულიც
დაასახლეს, აი, ისინიც: ედ ბელფორი
(დალასი) სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი) — რეი
ბურკი (კოლორადო); პატრიკ ელიაში (ნიუ
ჯერსი) — ჯეისონ არნოტი (ნიუ ჯერსი) —
ბრეტ პალი (დალასი).





დავით მულაომეროვიჩი (აჯრით)

ქართული უჯრედი ეფესოს ტვინში პრტიც სტეფანიას ხატრით

მერაბ რატიშვილი სალონიკი-თბილისი

— გამარჯობა, დავით, მე საქართველოდან ვარ. შეიძლება რამდენიმე კითხვით მოგმართო?

— საქართველო, ესე იგი, ვლადიმერ სტეფანია... შეიძლება, იმ რამდენიმე კითხვას ერთი დაუპატეთ.

— რით დაფიქსირებული ასეთი პატივი?

— სტეფანიას ხატრით. ვლადიმერი ჩემი მეგობარია, ძალიან კარგი ბიჭია. როცა იგი ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ თამაშობდა, მე ზაგრების „ციბონაში“ ვიყავი. ჩვენს გუნდებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. ხშირად ვთამაშობდით, ერთობლივ შეკრებებსაც ვაწყობდით. სტეფანიას მამინ დავეახლოვდი... 1997 წლის „ეკროსტარნიც“ ერთად ვითამაშეთ.

— კეთილი. სტეფანიაზე საუბარს მერე მოვასწრებთ. ახლა კი...

დავით მულაომეროვიჩს ჯერ „ბარსელონასთან“ მომავალ მატჩზე დავუკითხე. „ბარსელონა“ დიდი გუნდია, უპირავე ჯილდო მოუგია და ევროლიგის მესამე ადგილი მისთვის იქნებ არაფერს ნიშნავს. „ეფესოსი“ კი პირველად ევროლიგის „ოთხთა ფინალში“ და შესაძლებელია სწრაფად წარმატება იქნებოდეს — მიიხრახრა მულაომეროვიჩმა. შეგახსენებთ, რომ იმ მატჩში „ეფესოსმა“ დაამარცხა „ბარსელონა“.

ნახევარფინალში, ათენის „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ, „ეფესოსი“ ხელმძღვანელობას მულაომეროვიჩის დიდი იმედი ჰქონდა, მაგრამ მან სათანადოდ ვერ ითამაშა. დამირმა აღიარა „პანათინაიკოსის“ სიძლიერე და დასძინა: ჩვენ მაქსიმუმ გავაკეთეთ, მაგრამ მეტოქე გაცილებით ძლიერ

ევროლიგის ფინალის წინ სალამოს, ძირითადი სარედაქციო დავალების შესრულების შემდეგ, პრეს-ცენტრიდან „პილას“ დარბაზში შევიარე. სტამბოლის „ეფესოსი“ ვარჯიშობდა, რომელიც მეორე დღეს ესპანეთის „ბარსელონას“ უნდა შეებოდა მესამე ადგილისთვის. დრო მქონდა, ამიტომ გადავწყვიტე, ვარჯიშის დამთავრებისთვის დამეცადა და რომელიმე ეფესოსელს გამოვლაპარაკებოდი.

ვინ შევარჩიო თანამოსაუბრედ? მოედანს გავხედე. აგერ, თურქეთის ნაკრების წევრები — შიდაიეთ თურქოლლუ, იბრაჰიმ ქუთლუაი და შუსეინ ბემოქი. ურიგო კალათბურთელები არ არიან, მაგრამ... თანაც, დარწმუნებული ვარ, ჩემს ეროვნებას რომ გაიგებენ, აუცილებლად გაიხსენებენ, როგორ სასტიკად დაამარცხეს ამ ნელინადახვერის წინ საქართველოს ნაკრები... აღარ მინდა ამდენი წაგების და უბედურების გახსენება, საკმარისია...

ვინ რჩება? იუგოსლავიელი პრედრავ დრობნიაკი და ხორვატი დამირ მულაომეროვიჩი. ტიტული, ცხადია, დრობნიაკს მეტი აქვს — სხვა თუ არაფერი, მსოფლიოს ჩემპიონია. თუმცა, ეს მოთამაშე არცერთი გუნდის ლიდერი არ ყოფილა. მულაომეროვიჩი კი პირიქით — ბევრი ტიტული არა აქვს, მაგრამ სადაც უთამაშია, ყველგან ლიდერი და წამყვანი კალათბურთელი იყო.

გამოდის, არჩევანი ამ ორს შორის უნდა გავაკეთო. დრობნიაკი კარგ ხასიათზეა, ხალისიანად ვარჯიშობს, ხუმრობს. უცბად, ვიღაც თურქი ტელეჟურნალისტი გოვო დაინახა და მთლად გადაირია — თვალს უკრავს, უცინის, რაღაცას ანიშნებს. მულაომეროვიჩს კი დანაპირს არ უხსნის, ჩაუღუნია თავი და მოთმინებით ამუშავებს უკვე ათასჯერ დამუშავებულ ელემენტებსა თუ კომბინაციებს.

ვარჯიში დამთავრდა. დრობნიაკი და მულაომეროვიჩი ერთად გამოდიან მოედნიდან და სათადარიგოთა სკამზეც გვერდივერს სხდებიან. დროზე, ბიჭო, ამოირჩე — გაუფრთხილდი ჩემს თავს — ახლა ესენი სულს მოითქვამენ და სასტუმროში წავლენ, მიდი და სდიე მერე! სკამისკენ დავიძარი. მაინც რომელი: დრობნიაკი თუ მულაომეროვიჩი, მულაომეროვიჩი თუ დრობნიაკი — ჯერ კიდევ არ მქონდა გადაწყვეტილი, როცა ამ ორი კაცის წინ აღმოვჩნდი. ჯერ ერთს შევხედე, მერე — მეორეს და...

რი იყო. თავის სუსტი თამაში კი მულაომეროვიჩმა ნანდო ჯენტლეს და დეიან პოდლიოვას „გადააბრალა“ — მაჯობეს, თამაშიდან გამოშვებულს და ამ ფაქტის უარყოფას სრულებითაც არ ვაპირებო.

შემდეგ, რამდენიმე უმნიშვნელო ფრანის გაცვლა-გამოცვლის მერე, ინტერვიუ ჩვეულებრივი სახით გავაგრძელებთ:

— ევროლიგის ფინალში ვერ მონახდით, თურქეთის თასი ბურსას „თოფაშ“ დაუთმეთ. ეს ყველაფერი „ეფესოს“ ხასიათს არ გაუფუჭებს?

— პირიქით, ახლა განსაკუთრებული კონცენტრაცია გვმართებს. მთელი ყურადღება და ძალეობა თურქეთის ჩემპიონატის მოგებაზე უნდა გადავიტაროთ. გაისად სუპეროლიგაში თურქეთიდან ერთი უხედი გადის, ამის უფლება კი მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონს ექნება.

— თქვენ „ეფესის“ ტენის გინოდე-
ბენ და, ამდენად, იქნებ ყველაზე კა-
რგად ხედებით, რომ „ეფესის“ უმთა-
ვრესი პრობლემა სათადარიგოთა მო-
კლე სპარია...

— მართალია. შეიძლება ითქვას, რომ
ძლიერი სათადარიგოები თითქმის არ
გვყავს. სეზონის განმავლობაში რამდენ-
ჯერმე შევიცვალეთ ამერიკელი მოთამაშე-
ები. მერე ახალი მწვრთნელი მოვიდა და
სასურველი კალათბურთელების ძებნა და-
იწყო. ბოლოს რიკი ვინსლოუ და ქარიმ
რიდი შემოგვრჩნენ, მაგრამ გუნდთან ჯერ
შეუთამაშებელი არიან და ამის გამო მო-
ედანზე ცოტა ხანს ატარებენ. ჩვენ, სას-
ტარტო ხუთეულის წევრები, ძალიან მძი-
მე მდგომარეობაში აღმოვჩნდით: წარმოი-
დგინეთ, მთელი სეზონი მოედანზე ხარ და
მარტო მაშინ ისვენებ, როცა ხუთი ჯარი-
მის გამო თამაშიდან გავარდები.

— როდემდე უნდა იყოთ ასე?

— ვიმედოვნებ, მომდევნო სეზონში ასე
აღარ იქნება. ხელმძღვანელობას გუნდის
დასაკომპლექტებლად მეტი დრო აქვს.
„ეფესის“ ორი-სამი რიგიანი სათადარიგო
რომ დაემატოს, შეუდარებლად ძლიერი გა-
ხდება.

— „ეფესში“ თქვენი მოსვლა მაკე-
დონიელი პეტარ ნაუმოსკის წასვლას
დაემთხვა. დღეს თქვენ ნაუმოსკის ად-
გილი გიკავიათ...

— ყველა, რატომღაც, ნაუმოსკის შემც-
ვლელად აღმიქვამს. არადა, მე ვერ შე-
ვცვლი ნაუმოსკის, ისევე როგორც, იგი ვერ
შემცვლავს. პეტარი დიდი კალათბურ-
თელია. მას თავის სათამაშო სტილი აქვს,
მე — ჩემი, ნაუმოსკისგან ძალიან განსხვა-
ვებული. ასე რომ, არავის ადგილი დამიკა-
ვებია, ჩემს ადგილზე ვარ და ვიქნები.

— გამოდის, თურქეთიდან წასვლას
ჯერ არ აპირებთ...

— კონტრაქტის მიხედვით სტამბოლში
კიდევ ერთი სეზონი გაეჩერდება. არა მგო-
ნია, წავიდე, რადგან კარგი კონტრაქტი
მაქვს, პირობები მაკმაყოფილებს. „ეფესიც“
საკმაოდ დიდი პერსპექტივის გუნდია.

— კი მაგრამ, თურქეთის დონე გა-
კმაყოფილებთ; თქვენი გაქანების კა-
ლათბურთელი ხომ უფრო ძლიერ სა-

კალათბურთო ქვეყანაშიც ითამაშე-
ბდა?

— ნამდვილად ვითამაშებდი და მითამა-
შია კიდევ. შარშან იტალიაში, ბოლონიის
„ფორტიტულოში“ ვიყავი. ვარსკვლავებით
სავსე გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გა-
ვხდი. იტალიის ჩემპიონატი უმაღლესი დო-
ნისაა, ევროპაში, იქნებ, საუკეთესოც. იქ
ყოფნისას ბევრი რამ ვისწავლე.

— თურქეთში რატომღა წახვედით?

— უპირველესად კარგი კონტრაქტის
გამო. თურქულ გუნდებს ადრე ხშირად
ვეთამაშებოდი, მაგრამ არ მეგონა, თუკი
ამ ქვეყანაში ასეთი ძლიერი კალათბურთი
იქნებოდა. ახლა ჩემი თვლით ვხედავ, რომ
თურქეთის ჩემპიონატის დონე ტურქიდან
ტურქამდე მაღლდება, რამდენიმე ევროპუ-
ლი კლასის გუნდიც გამოჩნდა... მოკლედ,
თურქეთში თამაში ღირს.

— ხორვატიის ნაკრები ერთ დროს
დიდი გუნდი იყო. ახლა კი, უბრალოდ,
კარგი გუნდია...

— ხორვატიას ყოველთვის ჰყავდა და
ახლაც ჰყავს დიდი მოთამაშეები, მაგრამ
ბოლო დროს ნაკრების საქმე კარგად ვერ
არის. ბევრი პრობლემაა. წამყვან კალა-
თბურთელთა ერთ ნაწილს ნაკრებში თამა-
ში არ სურს. ზოგს ბოლო მომენტში და-
ითანხმებენ ხოლმე. რამდენჯერ ყოფილა,
რამე ტურნირის დაწყებამდე ორი-სამი
დღით ადრე გუნდის შემადგენლობა არ
ვიცოდით.

1997 წლის ევროპის ჩემპიონატზე დიდი
მოთამაშეები არ გვყოლია, მაგრამ ნაკრები
კარგი იყო. ვიფიქრე, გვეშველა-მეთქი, მა-
გრამ მერე ისევ დაიწყო ცალკე მწვრთნე-
ლთა, ცალკე შემადგენლობის ცვლა. ახლა
მწვრთნელად ალექსანდრ პეტროვიჩი (დი-
დი ხორვატი კალათბურთელის დრაჟენ პე-
ტროვიჩის ძმა — რედ.) დავინიშნეს, კა-
რგი და გამოცდილი სპეციალისტი. ვფი-
ქრობ, იგი მოახერხებს და ვეტერანებისა
და ახალგაზრდების შერწყმით ძლიერ
გუნდს ჩამოაყალიბებს. თუ ხელი არაფე-
რმა შეგვიშალა, 2001 წლის ევროპის ჩე-
მპიონატზე მედლებისთვის ვიბრძობები.

— ხორვატიის ნაკრებში ვეტერანები
და ახალგაზრდები დაპირისპირებუ-
ლნი არიან...

დაიძირ მულაოპეროვიჩი
სტამბოლის „ეფესის“ და ხორვატი-
ის ნაკრების გამოთამაშებელი
დაიბადა 1974 წელს ბოსნიის ქალაქ
ტუსლაში
სიმაღლე 194 სმ, წონა 92 კგ
კარიერა
1994-98: ციბონა (ზაგრები, ხორვა-
ტია)
1998-99: ფორტიტულო (ბოლონია,
იტალია)
1999: დღემდე: ეფესი (სტამბო-
ლი, თურქეთი)
ოლიმპიური თამაშების მონაწილე
(1996, ატლანტა), ევროპის ჩემ-
პიონატის მონაწილე (1997, 1999),
ევროლიგის „ოთხთა ფინალის“
მონაწილე (1999, 2000), „ევროს-
ტარნის“ მონაწილე (1997)

— სიძარით არ გახლავთ. მე, ნაკრე-
ბის წევრს, მსვავსი არაფერი შემომჩნევია
და გამივია.

— თქვენ ხორვატიის ნაკრების ვე-
ტერანებს ეკუთვნით თუ ახალგა-
ზრდებს?

— ორივეს გამოცდილებით ვეტერანებს,
რადგან ექვსი წელიწადია ნაკრებში ვთა-
მამობ. ასაკით კი — უფრო ახალგაზრდებს,
ჯერ 25 წლის ვარ.

— ხორვატ კალათბურთელებს ერო-
ვნულ საკალათბურთო ასოციაციაშიც
გამოუჩინიათ თავი — დრაჟენ პეტ-
როვიჩს, ტონი კუკოჩს, ჟან ტაბაქს. მათ
გზაზე დადგომას არ აპირებთ?

— ნბა-ზე მიფიქრია, მაგრამ ახლა იქ
წასვლა ნაადრევია მგონია. თანაც ჩემი, გა-
მოთამაშებლის ამპლუა განსაკუთრებულია.
ევროპულმა ნბა-ში ამ პოზიციაზე რომ ითა-
მამოს, სუპერვარსკვლავი უნდა იყოს, მა-
გალითად, დრაჟენ პეტროვიჩის ღირსი. სხვა
მხრივ კი სკამზე ჯდომა მოუწევს.

თუკი ვინმე ხელსაყრელ წინადადებას
შემომთავაზებს, წავალ და ვცდი, ოღონდ
სკამზე ჯდომას ვერ შევეგუები. არ მესმის
იმ მოთამაშეების, რომლებიც ნბა-ში მიდი-
ან, ერთი სეზონი სათადარიგოებში სხედან
და ევროპაში ფორმადაკარგულები ჩამო-
დიან. შეიძლება, იქ მეტი ფული იყოს,
მაგრამ, ჩემი აზრით, კალათბურთელმა პი-
რველ რიგში უნდა ითამაშოს და ფული
მერე დაითვალოს.

— თქვენი მეგობარი და ჩემი თანა-
მემამულეც ნბა-შია და ამ სეზონში უმე-
ტესად არ თამაშობდა. ამაზე რას იტყვით?
თან ჩათვალეთ, იმ ერთი დამატებითი
შეკითხვის უფლებაც გამოვიყენე, სტე-
ფანის ხათრით რომ მომეცით...

— სტეფანისა სიტუაცია ნაღდად მი-
კვირს. ვლადიმერი იმდენად ნიჭიერი და
ძლიერი კალათბურთელია, რომ თავისუ-
ფლად შეუძლია ნბა-ში თამაში. ისიც ვი-
ცი, რომ წინა სეზონში მეტხანს იყო მო-
ედანზე და არცთუ ურიგოდ გამოიყურებო-
და. ვფიქრობ, რადგან სხვა პრობლემის გა-
მო ათამაშებენ ცოტას და არა იმიტომ,
რომ სუსტია. სტეფანია ევროპის ერთ-ერთი
საუკეთესო ფორვარდ-ცენტრია. მას ნები-
სძიერი გუნდი ულაპარაკოდ დააყენებს სა-
სტარტო ხუთეულში.

დაიძირ მულაოპეროვიჩი (№4) „პარსკლონასთან“ მატჩისას





მალქოლა უიბგენი,
ლაიბ ფილი ლევისი და
კოლაქოლაბა უორლი

ჩოგბურთელ ვაჟთა უდიდესი გუნდური შეჯიბრება, დევისის თასის გათამაშების ტურნირი საუკუნისა გამხდარა. არადა, რას იფიქრებდა მამის, 1900 წელს პარვარდის უნივერსიტეტის სტუდენტი ლეიბ ფილი დევისი, რომ მის მიერ დაფუძნებული ასპარეზობა, რომელსაც საუთარნი სახელი და ვერცხლის სასაღათე მუქდენა, ესოდენ გრანდიოზულ და ფრიალ პოპულარულ შეჯიბრებად გადაიქცეოდა.

საუკუნოვანი ბრძოლა დევისის სასაღათისთვის

ავთანდილ გურასაშვილი

ლეიბ ფილი დევისი იყო სენტლუისელი (მისურის შტატი) ჩოგბურთელი. 1899-1901 წლებში პოლქოლმ უორლიან ერთად გახდა აშშ-ს ჩემპიონი წყვილებში. 1923 წელს ლეიბ დევისი სათავეში ჩაუდგა აშშ-ს ჩოგბურთის ფედერაციას. ცოტა მოგვიანებით მან დაიწყო მსოფლიო სატენისის მიჯნა ხელი. 1925 წელს დაიწყო ამერიკის სამხედრო მინისტრად, მერე ფილიპინების გენერალ-გუბერნატორად.

მამის, პარვარდის უნივერსიტეტში სწავლისას, დევისის ერთ მშვენიერ დღეს, დაეძადა იდეა, რომ აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის გუნდებისთვის დაეარსებინა ჩოგბურთელთა ისეთი ასპარეზობა, რომელიც აფროსანთა ამერიკის თასის გათამაშების მსგავსი იქნებოდა. დევისმა ოცნებას ფრთები შეასხა. მან ამერიკა-დიდი ბრიტანეთის ჩოგბურთელთა პაქტოლში გადამავალი გუნდისთვის გარდამავალი პრიზად შეიძინა ვერცხლის მოლოქოვილი ვეება სასაღათე. თუმცა, მისი შინ გადატანა გაუჭირდა, რადგან იგი თავისი ლანგრითა და მოვერცხლილი ხის ორივე სადგარიანად 198 კილოგრამი იყო. ეს თასი პირველად თავად დევისმა დაისაკუთრა თანაგუნდელ პოლქოლმ უორლიან და მალქოლმ უაიტმენთან ერთად. ეს მოხდა ბოსტონში, 1900 წლის ზაფხულში, როცა ამერიკელებმა საშინელ პაპანაქებაში ბრიტანელებს 3:0 სძლიეს.

მომდევნო წელს ამერიკელებს ეს ჯილდო უბრძოლველად დარჩათ, რადგან ბრიტანელებმა თავიანთი გუნდის წევრებს თავი ვერ მოუყარეს. ალბათ ამიტომაც დაეჭვდნენ, რომ ამ შეჯიბრებას დღევანდელ

ლობა არ ეწერა, მაგრამ 1902 წელს თასის გათამაშებას უმაჰსინძლა ნიუ-იორკმა, სადაც კვლავ ამერიკელებმა იმარჯვეს (3:2). მათი გუნდის შემადგენლობა იგივე იყო, როგორც პირველი პაქტოლისას, ოღონდ ამერიკელებმა გუნდში ლარნელიც დაიმეტეს.

1904 წელს დევისის თასის გათამაშებაში ჩაებნენ ავსტრალიის, ავსტრიისა და საფრანგეთის ნაკრებები. ერთი წლის მერე მათ შეუერთდნენ ბელგიელებიც და ახლა დევისის თასი 130-მდე ქვეყანას აერთიანებს.

მაგრამ დაეუბრუნდეთ ამ შეჯიბრების ისტორიას. ბრიტანელებმა 1904 წელს თასი მოიპოვეს და ამ ჯილდოს პირველად გადმოლადახინეზ ოკეანე. თანაც ეს სასაღათე 1907 წლამდე შინ დაიტოვეს. იმ წელიწადს კი თასს გამოუჩნდა მესამე მფლობელი — ავსტრალიის ნაკრები, რომელმაც სასაღათე 1922 წლამდე ადარავის დაუთოს, თუმცა, 1910 წელს მის მოსაპოვებლად ბრძოლა არც გამართულა.

1921 წელს შეჯიბრებაში მონაწილეთა რაოდენობა 11-მდე გაიზარდა, მაგრამ 1929 წლამდე თასის მფლობელი ქვეყნების რიცხვი არ გაზრდილა, იმ წელიწადს კი ფრანგებმა ამერიკელთა 7-წლიანი ჰეგემონია დაამხეს და თასი ახლა მათ მოიპოვეს ზედიზედ ექვსჯერ.

დევისის თასის მფლობელი 9 ქვეყნის გუნდი დაუფლებია. მათგან რეკორდსმენია აშშ-ს ნაკრები, რომელიც 32-ჯერ ფლობდა ამ ჯილდოს.

ამას გარდა, მას ფინალში უასპარეზობა კიდევ 28-ჯერ. ამ მხრივ მეორე ადგილზეა თასის 27-გზის მფლობელი და კიდევ 17-გზის ფინალისტი ავსტრალიის ნაკრები. ფინალში

9 გამარჯვებითა და 8 დამარცხებით მესამეა დიდი ბრიტანეთის გუნდი. ფრანგებს კი 8-ჯერ დაუსაკუთრებიათ დევისის სასაღათე, 5-ჯერ კი ფინალში მოსცარვიათ ხელი. შემდეგ მოდის დევისის თასის შვიდგზის მფლობელი შვედეთის გუნდი, რომელმაც შეიძვე წარმატებას 1975 წლის მერე მიაღწია.



იაკონარი ჯორჯორაშვილი NEC ლევისის თასის პატრონი, ვენის ოპერის მფარველი და სხვა მრავალთა მამა



თასის სამეზბის მფლობელია გერმანიის ნაკრები, ხოლო ჩეხოსლოვაკიის, იტალიისა და საფრანგეთის აფრიკის გუნდებმა თითოჯერ მიაღწიეს წარმატებას.

ამ ცხრა გუნდის გარდა ფინალში უასპარეზობათ ათი ქვეყნის წარმომადგენლებს. ესენია ინდოეთის, რუმინეთის (3-2-ჯერ), ესპანეთის, რუსეთის (2-2), ჩინის, არგენტინის, ბელგიის, იაპონიის, მექსიკისა და შვეიცარიის ნაკრებები.

დევისის თასის დარსებიდან ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ ასპარეზობის მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობა (32) მოგროვდა 1933 წელს 1969 წელს ბრძოლაში ჩაება 50 ნაკრები, 1990-ში — 84 გუნდი, ხოლო 1993 წელს მონაწილეთა რაოდენობამ პირველად გადაჭარბა 100 გუნდს (102). 1997 წელს შეჯიბრებაში მონაწილეთა სარეკორდო რაოდენობამ 127-ს მიაღწია.

როგორც ყველა შეჯიბრებას, დევისის თასზე მოასპარეზებოდნენ თავისი რეკორდსმენები. ერთ-ერთი მათგანია იტალიელი ნიკოლა პეტრანჯელი. მან 1954-1972 წლების დევისის თასის გათამაშების მატჩებში ჩაატარა ყველაზე მეტი — 164 შეხვედრა, რომელთაგან მათგან 120 და ამ მხრივაც რეკორდსმენად მოგვევლინა. პეტრანჯელიმ 78-ჯერ ერთეულთა, ხოლო 42-ჯერ წყვილთა თანრიგში იხეიმა გამარჯვება და ასეთი მაჩვენებლებით დღემდე მოუწვდომელია. ყველა ამ მონაცემით პეტრანჯელი დევისის თასის გათამაშებათა აბსოლუტური რეკორდსმენია. მან ორჯერ (1960-61 წ.წ.) ითამაშა ფინალში, ორივეჯერ ავსტრალიელებთან, მაგრამ მისი ქვეყნის ნაკრები თასს მაინც ვერ დაეუფლა.

ფინალში თამაშების რაოდენობით რეკორდსმენია ამერიკელი ბილ ტილდენი, რომელიც თავის გუნდთან ერთად გადამწვევტ ეტაპზე 11-ჯერ გასულა (1920-დან 1930-მდე) და 7-ჯერ დაუსაკუთრებია თასი.

დევისის თასი ყველაზე ბევრჯერ მოუვია ავსტრალიელი როი ემერსონს, რომელიც გუნდთან ერთად 8-ჯერ ფლობდა (1959-60-61-62 და 1964-65-67 წლებში) ამ ჯილდოს, სულ კი მას 9-ჯერ უასპარეზობა გადამწვევტ ეტაპზე.

სტატისტიკა, რა თქმა უნდა, მრავალსმეტყველია, მაგრამ ძალთა თანაფარდობას იგი ყოველთვის სწორად ვერ ასახავს. ჩოგბურთელის რეკორდსმენობა ყველა მტეტი მატჩის გამართვის თვალსაზრისით სულაც არ ნიშნავს მის უძლველობას. მაგალითად, ერთმა ლუქსემბურგელმა 1947 წლიდან მო-



თეიმურაზ ხაჯალია და ალექსანდრე მებრეველი

აპთანდოლ ბურანაშვილი

ყოლებული მთელი ათი წლის განმავლობაში დევისის თასზე 30 შეხვედრა ჩაატარა და ოცდაათივე წაავო (მოიგო ერთადერთი ხელი ერთეულთა და ერთიც წყვილთა თანრიგში).

მაგრამ დაუბრუნდეთ დევისის თასის გათამაშების რეკორდსმენებს. ამ ასპარეზობის მონაწილეთაგან ყველაზე ასაკოვანი გახლდათ 1928 წლის 4 ოქტომბერს დაბადებული ტორბენ ულრიკი (დანია). 1977 წლის სექტემბერში, როცა ბრიუსელში ბელგიელთა წინააღმდეგ ითამაშა, იყო 48 წლისა და 11 თვის. ამ მხრივ ულრიკზე ოდნავ უმცროსი აღმოჩნდა ჟან ბოროტრა (დაიბადა 1897 წლის 14 აგვისტოს). 1947 წლის 13 ივლისს, როცა ჩეხოსლოვაკიელთა წინააღმდეგ ითამაშა, 48 წლისა და 304 დღისა იყო.

დევისის თასზე მონაწილეობითაგან ყველაზე ახალგაზრდაა არაბეთის გაერთიანებული ემირატების წარმომადგენელი ჰადი ბადრი, რომელმაც 14 წლისამ და 42 დღისამ ითამაშა.

ამ მხრივ რეკორდსმენთაგან, ვინც „თავის დროზე“ გამოიჩინა თავი და შემდგომ დევისის თასი მოიგო და მსოფლიოს სწორპოვარი ჩოგბურთელიც გახდა, იყო შვედ ბიორნ ბორგი, რომელმაც 1972 წლის 5 მაისს, როცა 15 წლისა და 332 დღისა იყო, ახალგაზრდადელთა წინააღმდეგ ითამაშა.

კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი დევისის თასის ისტორიიდან. შეჯიბრებას ახსოვს ოჯახები, რომლებიც ამ სანუკვარი თასისთვის იბრძოდნენ.

მათგან ყველაზე ცნობილი გახდა ულრიკების (დანია) ოჯახი. ეიერ ულრიხმა, რომელიც ფეხბურთელთა მსაჯიც იყო, 1924-1938 წლებში 74 შეხვედრა ჩაატარა, მისმა ერთმა შვილმა, ტორბენმა, მამას გადააჭარბა და 1948-1968 წლებში 102 შეხვედრა გამართა, რომელთაგან 45 მოიგო. მეორე შვილმა იორგენმა კი 1955-1970 წლებში 56-დან 26-ჯერ იმარჯვა.

ასე რომ, ულრიკების ოჯახის წევრებს დევისის თასზე 211 შეხვედრაში უასპარეზიათ. ინგლისელი ძმები ჰიუ ლორენს და რეჯინალდ ფრანკ ლოპერტები მართალია დევისის თასის მატჩებში გამოსვლების სიმრავლით ვერ გამოირჩევიან, მაგრამ ისინი ოჯახური გუნდების წარმომადგენლებთან არანაირად ერთადერთი, რომლებმაც ფინალში აასპარეზეს, თანაც ხუთჯერ (1902-1906 წლებში) და ხუთიჯერ თასი დაისაკუთრეს.

ქართველ ჩოგბურთელთაგან დევისის თასის გათამაშებათა რეკორდსმენია ალექსანდრე მებრეველი. მან ამ ასპარეზობაში 105 შეხვედრა ჩაატარა, რომელთაგან 80 მოიგო, აქედან 56 ერთეულთა და 24 წყვილთა თანრიგში. ამგვარი აბსოლუტური მაჩვენებლებით იგი რეკორდსმენია ყოფილი სსრ კავშირის ჩოგბურთელთა შორისაც, ხოლო მსოფლიოში ნიკოლა პეტრანჯელის, ილიე ნასტასეს (რუმინეთი), ემანუელ სანტანასა (ესპანეთი) და გოტფრიდ ვან გრემის შემდეგ მესამეა. ამ სპორტსმენთა გვარებს ასეთივე თანმიმდევრობით

კვლავით ერთეულთა ასპარეზობებში ჩატარებული მატჩების რეკორდსმენთა ნუსხაშიც.

ალექსანდრე მებრეველ-სერევი ლიხანოვის „დეუტს“ წყვილთა შორის გამართული შეხვედრების რაოდენობით მეექვსე ადგილი უკავია (18 მოგება, 7 წაგება).

ალსანიშნავია, რომ ალექსანდრე მებრეველს 1970 წელს ერთეულთა ასპარეზობაში არცერთი შეხვედრა არ წაუგია. მას დაუმარცხებია სხვადასხვა წლებში მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელები ლეიფერი, ნიუკომბი, სანტანა, მესამე ადგილზე მყოფი პეტრანჯელი, კოდეში და მსოფლიო კლასიფიკაციაში 10 საუკეთესოს შორის დამკვიდრებული სხვა მრავალი სპორტსმენი.


ქართველ ჩოგბურთელთაგან მებრეველის გარდა დევისის თასის გათამაშების მატჩებში სხვებსაც უთამაშიათ. მათგან მებრეველი და თეიმურაზ კაკულია საბჭოთა ნაკრებში გამოდიოდნენ. ვლადიმერ გაბრიჭიძეს სსრ კავშირის ნაკრების სახელითაც უასპარეზია და საქართველოს გუნდის ინტერესებიც დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით გამოდიოდნენ.

ამ სპორტსმენთაგან დევისის თასის გათამაშებაში ყველაზე

დიდი წარმატებით გამოირჩევიან მებრეველი და კაკულია. უპირველეს ყოვლისა, საბჭოთა ნაკრებმა სწორედ მათი წყვილობით მიადწია ყველაზე დიდ წარმატებას. ეს მოხდა 1976 წელს. მაშინ საბჭოთა ნაკრებს ნახევარფინალში ჩილის გუნდთან უნდა ეთამაშა, მაგრამ ეს შეხვედრა პოლიტიკური მოსაზრებების გამო ჩაიშალა. მომდევნო 1977-78 წლებში კი, როცა საბჭოთა ნაკრები მებრეველისა და კაკულის წყვილობით ამ შეჯიბრების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტი იყო, დევისის თასზე აღარ დაუშვეს.

დევისის თასზე დამოუკიდებელი საქართველოს ჩოგბურთელთა დებიუტი შედგა 1994 წელს, როცა მათ ევროპა-აფრიკის ზონის III ჯგუფში II ადგილი დაიკავეს და მომდევნო წელსაც იმავე ჯგუფში ასპარეზობა მოუწიათ, 1996-ში კი ერთი საფეხურით დაწინაურდნენ და მათი დებიუტი ამ ჯგუფში ერთი წლის მერე თბილისში გაიმართა, რაც სლოვენელებთან მასპინძლების დამარცხებით დამთავრდა, ამას მოჰყვა ისევ თბილისში ნიგერიელებთან ჯგუფში ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა, რაც წარმატებით დამთავრდა, თუმცა ბოლოს მიღწეული მანაც დაკარგეთ.

ნიკოლა პეტრანჯელი



ვლადიმერ გაბრიჭიძე



ლევინის თასისთვის ბრძოლაში საქართველოს ჩოგბურთელთა დევიანდელ მდგომარეობას სიმბოლურად ასახავს ეს სურათი



აპთანდოლ ბურანაშვილი

ნერვიული და ბედნიერი

აპთანდილ სვანიძე

როდესაც მარი პირსმა პირველად იხილა საკუთარი მატჩის ვიდეოჩანაწერი, გული შეუქანდა. ნუთუ ეს ქალი ნერვიული აშლილობის ზღვარზე, საკუთარ ემოციებს რომ ვერ აკონტროლებდა, წუთში ათასჯერ გრემასას იცვლიდა და ხმელეთზე გამოირიყული თევზით საცოდავად ალებდა პირს ჟანგბადის ჩასაყლაპად, თავად იყო?

თუმცა ფრანგი ლამაზმანი თავის სტიქიაში კორტზე კი არა, ცხოვრებაშიც თითქმის არსად გრძობდა თავს.

ფრანგი დედისა და ამერიკელი მამის, კანადაში დაბადებული და ფლორიდაში გაზრდილი ჩოგბურთელი საქმალ მძიმე პირობებში იზრდებოდა. ჯიმ პირსი, ერთ დროს შვიარაღებული მარცხისთვის ნასამართლვე ნახევრად შერეული უმუშევარი, ფანატიკურად ცდილობდა შვილები სპორტის ვარსკვლავებად ექცია და მათი მეშვეობით გამდიდრებულიყო.

მიზნის მისაღწევად ნებისმიერი საშუალება გამართლებული იყო, ამიტომ მარისა და მის უფროს ძმა დეიდს, ასევე მათ მოსარჩლე დედა იანიკს ხშირად ცემა-ტყეპის ატანა უხდებოდათ. მოგვიანებით უფროსი ქალიშვილის მარის მეტოქეებისა და WTA ტურის შეურაცხყოფაზე გადავიდა და ჩოგბურთში ახალი ტერმინი დაამკვიდრა — „მშობელი ჯოჯოხეთიდან“.

მარიმ დესპოტი მამის მარწუხებისგან გათავისუფლება დიდი გაჭირვებით შეძლო. ჯიმს საერთოდ აუკრძალეს ქალთა საჩოგბურთო ტურნირებზე დასწერება, თუმცა ქალიშვილს „ძველი დამსახურებებისთვის“ ნახევარი მილიონი დოლარი წაგლიჯა.

არანაკლებ რთული გამოდგა პირსისთვის თავის ძალად თანამემამულეებთან ურთიერთობაც. საფრანგეთის სახელით ასპარეზობაზე ის ხომ მხოლოდ იქაური ჩოგბურთის ფედერაციის ფინანსური დახმარების ხაზით დათანხმდა და ფრანგულად თითქმის ვერ საუბრობდა. „მარი ფედერაციის თასზე ნაკრებში თამაშის დროს სრულიად გარიყულად გრძობდა თავს. სადილობის დროს ის სხვა გოგონების ხუმრობებს ვერ ხვდებოდა და მეტად უდროოდ დროს ინგლისურად წამოიწყებდა ხოლმე ლაპარაკს“ — იხსენებს გუნდის კაპიტანი ფრანსუაზ დიურა.

ლამაზი გარეგნობითა და ჯან-ღონით უხვად დაჯილდოებულ ჩოგბურთელს ფრანგი მაყურებლების გარდა კოლეგებიც ამრებით უყურებდნენ, ქედმაღალ და უკარება ადამიანად თვლიდნენ და ზურგსუკან დასცილობდნენ.

მსხნელად პირსს მისი ცხოვრების მამაკაცი, რობერტო ალომარი მოეკლინა. 32 წლის პუერტორიკოელმა ბეისბოლის ვარსკვლავმა მარის ქაოტურ სამყაროში სიმშვიდე, წესრიგი და უსაფრთხოების შეგრძნება შეიტანა და ბევრ რამეზე აუხილა თვალი ჩოგბურთელს.

„ეს თავსატეხისთვის გასაღების მორგებას ჰგავდა. რობერტო ჩემზე უფროსი და გამოცდილია, ამიტომ მისგან ბევრ რამეს ვსწავლობ. არ ვიცი, მის გარეშე რას გავაკეთებდი, ის ყველაფერში მხარს მიჭერს და მჭობდავ. კომუნიკაბელობა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის და ჩვენ ერთმანეთთან საუცხოოდ ვგრძობთ თავს, ნებისმიერ თემაზე შეგვიძლია ვისაუბროთ.“


ისინი ხშირად თამაშობენ ჩოგბურთს და პირსი მუდამ გამარჯვებული რჩება. სამაგიეროდ, როდესაც სახლის უკან ხუმრობით ბეისბოლში ვარჯიშობენ, ალომარი თავის ადგილს უჩენს საცოლეს და ბურთს არასოდეს აკარებს. „თავისი ბეისბოლის პრობლემით პრობლემებით არასოდეს მაწუხებს. შინ არასოდეს მოაქვს. იმედგაცრუებას და აღშფოთებას მე არ მაგრძობინებს-ხოლმე, რისთვისაც უსაზღვროდ მაღლიერი ვარ.“

ალომარის ზეგავლენა პირსის ცხოვრებაზე ძალიან დიდია. სწორედ მისი წაქეზებით გახდა ჩოგბურთელი ღრმად მორწმუნე, დაუახლოვდა საკუთარი ოჯახის წევრებს და თვით შერეულ მამასთანაც კი განახლა ურთიერთობა.

„ოჯახი ძალიან მნიშვნელოვანია ცხოვრებაში. ჩოგბურთი მისი მხოლოდ მცირე ნაწილია, თუმცა ამჟამად ერთ-ერთი მთავარი. რობერტომ მასწავლა, რომ ნათესავები არ უნდა დაკარგო და შეეცადო ყველასთან გამოხაზო საერთო ენა.“

შედევად რამდენიმე თვის წინ მარიმ მწვრთნელად საკუთარი ძმა დევიდი აიყვანა, რომელთანაც პატარაობაში კატა-ძალიდვით ჩხუბობდა: „ეს შესანიშნავი გადაწყვეტილება იყო. ტურზე ზოგჯერ მეტად მარტოსული და მოწყენილი ხარ, ამიტომ დევიდის გვერდით ყოლას არაფერი სჯობს. ვინ იზრუნებს შენზე უკეთ და ვის შეიძლება მიენდო, თუ არა საკუთარ ძმას.“

შეიცვალა პირსის დამოკიდებულება ჩოგბურთის მიმართაც: მიზეზი? ისევ ალომარი. შარშან ბეისბოლის „მეიჯორ ლიგის“



მარი პირსი

სეზონის დასრულების შემდეგ ის პუერტო რიკოში გაემგზავრა სათამაშოდ და თავისი ვადაწყვეტილება ასე აუხსნა სატრფოს: „არ მინდა წაივდე სპორტიდან და შერევი ვიფიქრო, რომ მეტის გაკეთება შემეძლო. სანამ ძალია შეგწევს, ბოლომდე უნდა დაიხარჯო.“

პირსმა საქმროს სიტყვებიდან შესაბამისი დასკვნები გააკეთა და მის მსგავსად თავისი პროფესიისადმი ნამდვილი სიყვარულით მიდგომა არჩია.

ეს რამდენიმე თვეა, „სხეულად“ წოდებული ფრანგი ძნელი საცნობია. ყველა კოლეგა აღნიშნავს, რომ მარი საოცრად შეიცვალა, უფრო მეგობრული და მხიარული გახდა, თანამემამულეებიც შემოირიგა, რაკი მიხვდა, რომ ისინი მისგან მხოლოდ წარმატებას მოითხოვდნენ და მეტ არაფერს.

10 ივნისს პირსმა კარიერაში მეორე დიდი სლეიმს ტურნირი, „როლან გაროსი“ მოიგო, ფინალში კონჩიტა მარტინესი 6:2, 7:5 დაამარცხა.

შეიძლება კორტზე ნერვიულობის ჩვევას ვერასოდეს დააღწიოს თავი, მაგრამ ფრანგს ეს უკვე ნაკლებად აღელოებს და არამეს შეცვლის სურვილი არ აქვს. ბედნიერება ხომ ტიტულების რაოდენობით არ განისაზღვრება.

მარი პირსის მეორე ხალოვა ავტომგრაფიის დაკვირვება







იტალია მგრძე 2000-ზე: ზედა რიგში მარცხნიდან: მასიმო ამბროზინი, სტეფანო ფიორე, ჩირო ფერარა, პაოლო მალდინი, ალესანდრო ნესტა, მარკო დელგემეიო, მარკო იულიანო, პაოლო ნევერა

შუა რიგში: ჯანლუკა ძამბაროტა, ლუიჯი დი ბიაჯო, ფილიპო ინძაგი, ალდო გაპოლიტო (მასივისტი), ფრანჩესკო ტოკა (მწვრთნელის თანაშემწე), დინო ძოფი (მთავარი მწვრთნელი), პიეტრო ჭედინი (მწვრთნელის თანაშემწე), დემეტრიო ალბერტინი, ანტონიო კონტი, ჯუზეპე პანკარო

ქვედა რიგში: ჯანლუკა პესოტო, ფაბიო კანავარო, ფრანჩესკო ტოტი, ფრანჩესკო ტოლდო, ჯანლუიჯი ბუფონი, ფრანჩესკო ანტონიოლი, ალესანდრო დელ პიერო, ვინჩენცო მონტელი, ანჯელო დი ლივია

